# სახალხო დღესასწაულები და ღირსსახსოვარი დღეები საბჭოთა საქართველოში 1989

## კალენდარი — ცნობარი

# НАРОДНЫЕ ПРАЗДНИКИ И ЗНАМЕНАТЕЛЬНЫЕ ДНИ В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ 1989

## КАЛЕНДАРЬ-СПРАВОЧНИК

ხელოვნება ● თბილისი

ХЕЛОВНЕБА ● ТБИЛИСИ

1989

66·3(2)67+87·342(Г2)
ს 361

00002
Н ———————89
М 605(06) — 89

© გამომცემლობა „ხელოვნება“, 1989

# 1989

| | იანვარი ЯНВАРЬ | თებერვალი ФЕВРАЛЬ | მარტი МАРТ | აპრილი АПРЕЛЬ | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | ПН |
| სა. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | ВТ |
| ოთ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | СР |
| ხთ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | ЧТ |
| პრ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | ПТ |
| შბ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | СБ |
| კვ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | ВС |

| | მაისი МАЙ | ივნისი ИЮНЬ | ივლისი ИЮЛЬ | აგვისტო АВГУСТ | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | ПН |
| სა. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | ВТ |
| ოთ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | СР |
| ხთ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | ЧТ |
| პრ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | ПТ |
| შბ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | СБ |
| კვ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | ВС |

| | სექტემბერი СЕНТЯБРЬ | ოქტომბერი ОКТЯБРЬ | ნოემბერი НОЯБРЬ | დეკემბერი ДЕКАБРЬ | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | ПН |
| სა. | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | ВТ |
| ოთ. | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | СР |
| ხთ. | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | ЧТ |
| პრ. | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | ПТ |
| შბ. | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | СБ |
| კვ. | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | ВС |

სახალხო დღესასწაულებს კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავათ. ისინი იყვნენ თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების მნიშვნელოვანი საშუალებანი, რომლებიც ეპოქის შესაბამის ცვლილებებს განიცდიდნენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს სახალხო დღესასწაულებმა საბჭოთა ეპოქაში — ისინი ხელს უწყობენ მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, სოციალისტური ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდას, ამდიდრებენ და ავითარებენ საბჭოთა ადამიანების ესთეტურ გემოვნებას.

უკანასკნელ წლებში საკავშირო კალენდარულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და პროფესიულ დღესასწაულებთან ერთად საქართველოში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, წარმატებით მკვიდრდება ახალი, სოციალისტური შინაარსის ადგილობრივი დღესასწაულები. ახლა რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში 100-ზე მეტი დღესასწაული იმართება, მათ შორისაა შრომის ზეიმები, ძმობისა და მეგობრობის, ინტერნაციონალური დღესასწაულები, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა ხსოვნის დღეები. ამასთან, ხდება ზოგიერთი ძველი სახალხო დღესასწაულის აღდგენა-განვითარება.

დღესასწაულების საერთო დამახასიათებელი ის არის, რომ მათში ფართოდაა წარმოსახული ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ორგანულადაა შერწყმული ტრადიციული თავისებურებანი და თანამედროვეობა. დღესასწაულებს თან ახლავს მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, ატარებენ ინტერნაციონალურ ხასიათს. მათში მონაწილეობენ სხვადასხვა ერის, პროფესიისა და ასაკის ადამიანები.

სახალხო დღესასწაულების პოპულარობა, აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე, განაპირობა პარტიული კომიტეტების შესანიშნავმა ინიციატივამ, რომლებიც უზრუნველყოფენ დღესასწაულების ჩატარების მაღალ დონესა და ორგანიზებულობას. რესპუბლიკის ბევრმა პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის კომისიებმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვეს.

დღესასწაულების გვირგვინს წარმოადგენს თბილისობა — ძმობისა და მეგობრობის დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად ტარდება საქართველოს დედაქალაქში, მასში მკაფიოდ არის ასახული ეროვნული და ინტერნაციონალური ტრადიციები, შესანიშნავადაა შერწყმული ისტორია და თანამედროვეობა, ძველი და ახალი. დღესასწაულის მაღალ იდეურ-ესთეტურ დონეზე ჩატარებას განაპირობებს ის დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რომელსაც ახორციელებენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

სახალხო დღესასწაულების შემოღება-ჩატარებას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები განიხილავენ როგორც იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს. მას

უდგებიან შემოქმედებითად, ეძებენ და კიდეც პოულობენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ტრადიციულ საგმირო და შრომითი საქმეების იდეურად გამსჭვალული პროპაგანდის ახალ საინტერესო ფორმებს.

სახალხო დღესასწაულების ორგანიზატორთა საყურადღებოდ ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ მათი შემოღება-დამკვიდრება მარტივი პროცესი არ არის. იგი მოითხოვს ხანგრძლივ, დიდ შემოქმედებით მუშაობას. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ეროვნული ტრადიციები, ფართო გზა მივცეთ თვით ხალხის ინიციატივას, ყოველმხრივ გამოვიყენოთ ჩვენი მდიდარი, ფოლკლორული მასალა.

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკაში უკვე ჩამოყალიბდა სახალხო დღესასწაულების მომზადებისა და ჩატარების ერთიანი, მწყობრი სისტემა. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა სახალხო დღესასწაულების კალენდარ-ცნობარის 1982 წლიდან რეგულარული გამოცემაც.

1989 წლის კალენდარ-ცნობარში შეტანილია 91 სახალხო დღესასწაული და ღირსსახსოვარი დღე. აქვე შეტანილია საკავშირო კალენდარული დღესასწაულები. ყველა მათ აღნიშვნას საფუძვლად დაედება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დიადი გარდაქმნები, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ზეიმების ქმედითობას.

კალენდარი-ცნობარი გამოსაცემად მოამზადა ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკურმა კომისიამ.

მკითხველებს ვთხოვთ, მოგვწერონ თავიანთი შენიშვნები, წინადადებები, სურვილები, რასაც შესაძლებლობის მიხედვით გავითვალისწინებთ კალენდრის მორიგი გამოცემისას.

Народные праздники в истории человечества всегда занимали видное место. Они представляли собой один из способов разумного использования свободного времени и, безусловно, испытывали соответствующие времени изменения.

В советскую эпоху народные праздники приобрели особое значение: они способствуют повышению трудовой и политической активности масс, формированию социалистического образа жизни; они развивают и обогащают вкус советских людей, способствуют воспитанию трудящихся в духе патриотизма и интернационализма.

За последние годы в Грузии, как и в других союзных республиках, наряду с общесоюзными календарными общественно-политическими и профессиональными праздниками успешно утверждаются местные празднества. Ныне в различных регионах республики проводится около 100 народных праздников, многие из них получили права гражданства. Это праздники труда, интернациональные праздники дружбы и братства народов, дни памяти видных государственных и общественных деятелей. Существует также тенденция восстановления и развития некоторых традиционных народных праздников.

Характерно, что в них широко представлена национальная по форме и социалистическая по содержанию культура, органически сочетающая традиционные особенности и современность. Праздники сопровождаются трудовым и политическим подъемом, носят интернациональный характер. В них принимают активное участие люди разных национальностей, всех возрастов и профессий.

Популярность народных праздников, отмечалось на XXVII съезде Компартии Грузии, обусловлена замечательной инициативой многих партийных комитетов, которые обеспечивают высокий уровень и организованность их подготовки и проведения. Многие партийные, советские и общественные организации республики, комиссии по пропаганде и внедрению новых обрядов и ритуалов накопили в этом деле значительный положительный опыт.

Венцом этих праздников считается «Тбилисоба» — праздник братства и дружбы, который ежегодно отмечается в столице Грузии. Праздник несет на себе яркий отпечаток социальных и интернациональных традиций, являет собой сплав истории и современности, старины и новизны. Трудно переоценить работу, которая проводится под руководством Тбилисского городского комитета партии партийными, советскими органами и общественными организациями, средствами массовой информации, творческими союзами. Благодаря их усилиям праздник этот приобрел широкую популярность.

Учреждение народных праздников, их подготовка и проведение рассматриваются как важное направление идеологической работы, требующее инициативы и творческого подхода, поиска новых форм пропаганды героических и трудовых свершений. Организаторам народных праздников хочется еще раз напомнить, что их внедрение — не простой процесс. Он требует длительной многообразной творческой работы. В первую очередь необходимо отметить национальные традиции, предоставить широкую возможность для проявления инициативы самого народа, всемерно использовать богатый фольклорный материал.

Можно сказать, что в республике уже сложилась единая стройная система подготовки и проведения народных праздников, о чем свидетельствует регулярный выпуск данного календаря с 1982 года.

В календарь-справочник на 1989 год внесен 91 праздник и знаменательная дата. Здесь же даны даты всесоюзных календарных праздников.

Календарь-справочник подготовлен к изданию республиканской комиссией по пропаганде и внедрению новых обрядов и ритуалов.

Просим читателей высказывать свои замечания, предложения и пожелания, которые будут учтены в последующих изданиях нашего календаря.

## იანვარი

### საახალწლო ზეიმი

1 იანვარი, კვირა.

ახალი წლის დასაწყისად სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა დროს მიიჩნევდა. მისი თარიღი საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა. ახლა მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ახალი წელი პირველი იანვრიდან იწყება. დროის ეს აღრიცხვა შემოიღეს რომში. (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 46 წელს), აქედან იგი გავრცელდა სხვა ქვეყნებში.

საქართველოში ახალი წელი VII საუკუნემდე აგვისტოთი იწყებოდა, შემდეგ შემოუღიათ სექტემბრის წელიწადი. IX საუკუნის დამდეგიდან ფეხი მოიკიდა მარტის წელიწადმა. X საუკუნის შუახანებიდან კი თანდათან ვრცელდება იანვრის წელიწადი და იგი საბოლოოდ დამკვიდრდა XIV საუკუნის დასასრულიდან.

ძველ რუსეთში ახალი წელი იწყებოდა მარტით, ქრისტიანობის შემოღების შემდეგ კი სექტემბრით (ისე, როგორც ეს იყო ძველ საბერძნეთში). პეტრე პირველის 1699 წლის 15 დეკემბრის ბრძანებით, შემდეგი 1700 წელი პირველი იანვრიდან დაიწყო.

## ЯНВАРЬ

### НОВОГОДНИЙ ПРАЗДНИК

I ЯНВАРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Различные народы по-разному ведут отсчет наступления нового года. Сейчас в большинстве стран мира Новый год отмечают первого января. Такой отсчет времени был введен в Риме в 46 году до нашей эры. Отсюда он распространился в другие страны.

В Грузии до VII века новый год начинался в августе, затем в сентябре, а с начала IX века — в марте. С середины X века все чаще наступление нового года приурочивают к январю, а с конца XIV века этот календарь утверждается.

В Древней Руси первым месяцем года считался март, а после принятия христианства — сентябрь (как в Древней Греции). Указом Петра I от 15 декабря 1699 года следующий, 1700 год начался с 1 января. Необычно празднично выглядела тогда Москва. Здания и улицы были украшены ветками хвойных деревьев. Костры, фейерверки, пушечные выстрелы создавали настроение все-

უჩვეულოდ, საზეიმოდ გამოიყურებოდა მაშინ ქალაქი მოსკოვი. სახლები და ეზოები წიწვოვანი მცენარეებით იყო მორთული. კოცონები, შუშხუნები, ზარბაზნების სროლის ხმა, საერთო მხიარულება არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. ზეიმმა ერთ კვირას გასტანა. ასე დაიწყო რუსეთში წელთაღრიცხვა რომაული კალენდრით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით 1918 წლის 26 იანვარს გამოიცა რსფსრ სახკომსაბჭოს დეკრეტი ახალი კალენდრის შემოღების შესახებ.

1918 წლის 1 თებერვალი ჩაითვალა 14 თებერვლად, 2 თებერვალი — 15 თებერვლად და ა. შ. ასე გამოსწორდა ის ჩამორჩენა, რაც კალენდარსა და ბუნებრივ წელთაღრიცხვას, ძველსა და ახალ სტილს შორის არსებობდა.

ყველა ქვეყანაში ახალი წლის დადგომას ზეიმით აღნიშნავენ. ზეიმით აღნიშნავენ მას ჩვენს ქვეყანაშიც.

პირველი საბჭოთა საახალწლო ზეიმი მოსკოვში გაიმართა 1918 წელს.

## თებერვალი

### დიმიტრი გულიას დღე

21 თებერვალი,
სამშაბათი.

**სოხუმი.**
ტარდება 1982 წლიდან.

დიმიტრი იოსების ძე გულია (1874—1960) გამოჩენილი საბჭოთა პოეტი, აფხაზეთის ლიტერატურის ფუძემდებელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღ-

общего веселья. Торжества продолжались неделю. Так началось в России летосчисление по римскому календарю.

После победы Великой Октябрьской социалистической революции 26 января 1918 года за подписью В. И. Ленина был издан Декрет Совнаркома РСФСР о введении нового календаря. 1 февраля 1918 года было засчитано за 14 февраля, следующий день — за 15 февраля и т. д. Так была ликвидирована разница между календарным и естественным летосчислением или между т. н. старым и новым стилями.

Во всех странах наступление нового года отмечают праздником. Празднуют его и в нашей стране.

Первый советский новогодний праздник состоялся в 1918 году в Москве.

## ФЕВРАЛЬ

### ДЕНЬ ДИМИТРИЯ ГУЛИА

21 ФЕВРАЛЯ, ВТОРНИК.

**Сухуми.**
Проводится с 1982 года.

Димитрий Иосифович Гулиа (1874—1960) — абхазский советский поэт, основоположник абхазской литературы, государственный и общественный деятель.

ვაწე იყო. იგი მრავალმხრივ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. რევოლუციამდელ ლექსთა კრებულებში (1912, 1913) ასახული იყო აფხაზი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისაკენ, სიძულვილი მჩაგვრელებისადმი. რევოლუციის შემდეგ მისი ლექსების, პოემების, პროზაული და დრამატული ნაწარმოებების მთავარი თემა გახდა საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობა, ჩვენი ქვეყნის მრავალეროვან ხალხთა ურღვევი მეგობრობა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. ამასთან, იგი იყო პედაგოგი, მკვლევარი, ქრესტომათიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი, მთარგმნელი.

Д. И. Гулиа вел многогранную творческую работу. В его дореволюционных стихотворных сборниках (1912, 1913) выражено стремление абхазского народа к свободе, ненависть к угнетателям. После революции главной темой его стихотворений, многих прозаических и драматургических произведений стал трудовой героизм советских людей, нерушимая дружба народов нашей страны, руководящая и направляющая роль Коммунистической партии. Вместе с тем Гулиа был педагогом, исследователем, автором хрестоматий и учебников, переводчиком.

## საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

23 თებერვალი, ხუთშაბათი.

1918 წლის 28 (15) იანვარს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის, ხოლო 11 თებერვალს (29 იანვარს) — მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის შექმნის შესახებ. 1918 წლის თებერვლის დღეებში გერმანიის იმპერიალიზმის შეიარაღებული ძალები დაიძრნენ პეტროგრადისკენ. 23 თებერვალს დაიწყო რევოლუციურ ძალთა მასობრივი მობილიზაცია. ამავე დღეს წითელმა გვარდიელებმა სასტიკი დამარცხება აგემეს გერმანელ იმპერიალისტებს. ეს დღე ისტორიაში შევიდა საბჭოთა არ-

## ДЕНЬ СОВЕТСКОЙ АРМИИ И ВОЕННО-МОРСКОГО ФЛОТА

23 ФЕВРАЛЯ, ЧЕТВЕРГ.

28 (15) января 1918 года Совет народных комиссаров принял Декрет о создании рабоче-крестьянской Красной Армии, а 11 февраля (29 января) — об организации рабоче-крестьянского Красного Флота. В февральские дни 1918 года вооруженные силы империалистической Германии двинулись на Петроград. 23 февраля началась массовая мобилизация революционных сил на защиту завоеваний революции. В тот же день красногвардейцы нанесли сокрушительное поражение немецким империалистам. Этот день

მისი დაბადების დღედ და აღინიშნება ყოველწლიურად, როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

## საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე (1921 წ.)

25 თებერვალი, შაბათი.

### საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი

მუსიკა ო. თაქთაქიშვილისა,
ტექსტი ალ. აბაშელისა და გრ. აბაშიძისა

დიდება მარად, ჩემო სამშობლოვ,
გმირთა კერა ხარ განახლებული,
დიად პარტიის ნათელი აზრით,
ლენინის სიბრძნით ამაღლებული.
შენი ოცნება ასრულდა,
რისთვისაც სისხლი ღვარეო,
მშრომელი კაცის მარჯვენით
აყვავებულო მხარეო.
დიდი ოქტომბრის დროშის სხივებმა
შენ გაგინათეს მთები ჭაღარა,
თავისუფლებამ და შემართებამ
გადაგაქციეს მზიურ ბაღნარად.
მოძმე ერების ოჯახში
ამაღლდი, გაიხარეო.
მეგობრობით და გმირობით
გამარჯვებულო მხარეო.
უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი
აზრი, ხმალი და გამბედაობა.
დღეს საქართველოს ნათელ მომავალს
სჭედს ლენინური წრთობის თაობა.
კომუნიზმის მზე დაგნათის
კაშკაშა, მოელვარეო,
დიდება მრავალჟამიერ,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ახალი რედაქცია გრ. აბაშიძისა

вошел в историю как день рождения Красной Армии и отмечается ежегодно как всенародный праздник.

## ДЕНЬ УСТАНОВЛЕНИЯ СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ В ГРУЗИИ (1921 г.)

25 ФЕВРАЛЯ, СУББОТА.

### ГОСУДАРСТВЕННЫЙ ГИМН ГРУЗИНСКОЙ ССР

Музыка О. Тактакишвили
Стихи А. Абашели,
Гр. Абашидзе.

Славься в веках, моя Отчизна,
Обновленный очаг героев.
Ты светлым разумом великой партии
И мудростью Ленина возвышена.
Сбылась твоя мечта,
За которую ты кровь проливала,
Неутомимая рука труженика
Тебя к расцвету привела.
Сияние знамен Великого Октября
Озарило твои седые вершины,
Свобода, мужество и доблесть
Превратили тебя в солнечный край.
В братской семье народов
Ты достигла невиданных высот,
Дружбой и силой всенародной
Побеждала ты и побеждаешь.
С незапамятных времен блистали
Твой разум, твой меч и твоя отвага.
Сегодня светлое будущее Грузии
Кует поколение ленинской закалки.
Солнце коммунизма сияет
Все ярче над тобой.
Славься в веках, моя Родина,
Мой край родной!

Новая редакция Гр. Абашидзе

## ჯავახეთის ზამთრის გაცილება

5 მარტი, კვირა.

**ბოგდანოვკა.**
**ტარდება 1976 წლიდან.**

გაზაფხულის დადგომა მიწათმოქმედთათვის ყველგან და ყოველთვის ზეიმია. მაგრამ მას განსაკუთრებით მოუთმენლად ელიან მაღალმთიანი რაიონის მშრომელები. ნაადრევი და ხანგრძლივი ზამთარი დიდი ხნით წყვეტს მათ ურთიერთობას „დიდ მიწასთან“. მასთან ახალი შეხვედრის სიხარულს ისინი ზამთრის გაცილების ზეიმით აღნიშნავენ. ასეა ყველგან, ასეა ბოგდანოვკის რაიონშიც, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონია. მისი უდაბლესი წერტილი 1800 მეტრზეა ზღვის დონიდან, უმაღლესი კი 3189 მ აღწევს. აქ ზამთარი ხანგრძლივია. დაბა ბოგდანოვკასთან, მაგალითად, 100 დღე თოვლიანია. მთებში თოვლის ხანგრძლივობა გაცილებით მეტია. რაიონის სახალხო მეურნეობიდან ძირითადი დარგებია სარძევე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობა, მარცვლეულის მოყვანა და მეკარტოფილეობა. გავრცელებულია საგაზაფხულო თავთავიანი და საკვები კულტურები.

რაიონის მშრომელები ცივი და ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ გაზაფხულის დადგომასა და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებას ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს უძღვნიან.



## ПРОВОДЫ ДЖАВАХЕТСКОЙ ЗИМЫ

5 МАРТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Богдановка.**
**Проводится с 1976 года.**

Для земледельцев наступление весны — всегда праздник. Но с особенным нетерпением ждут ее труженики высокогорья. Ранняя и продолжительная зима надолго отрывает их от «большой земли». Радость новой встречи с нею они отмечают проводами зимы.

Богдановский район — один из высокогорных районов республики. Его низшая точка находится на отметке 1800 м. над уровнем моря, а высшая достигает 3189 м. Зима здесь долгая. В поселке Богдановка, например, 100 дней бывают снежными. В горах снег держится гораздо дольше. Основными отраслями народного хозяйства района являются животноводство мясо-молочного направления, зерноводство и картофелеводство, распространены яровые колосовые и кормовые культуры.

Наступление весны после долгой и холодной зимы и начало весенних сельскохозяйственных работ труженики района отмечают традиционным народным праздником.

## ქალთა საერთაშორისო დღე

8 მარტი, ოთხშაბათი.

სოციალისტ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც კოპენჰაგენში (დანია, 1910 წ.) გაიმართა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის კლარა ცეტკინის ინიციატივით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ყველა ქვეყანაში ყოველწლიურად აღინიშნოს 8 მარტი — ქალთა თანასწორობის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის საერთაშორისო სოლიდარობის დღე. რევოლუციამდე იგი პირველად გაიმართა გერმანიასა და ავსტრიაში (1911 წ.), რუსეთში (1913 წ.), შემდეგ კი სხვა ქვეყნებში.

საქართველოში ქალთა დღესასწაული პირველად აღინიშნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ორი კვირის შემდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 მაისის ბრძანებულებით ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი ჩვენს ქვეყანაში გამოცხადდა უქმე დღედ.

## აპრილი

## ხსოვნის დღე

8-9 აპრილი, შაბათი-კვირა.

ტარდება 1983 წლიდან.

აღინიშნება რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ინიციატივით. მას წინ უძღვის დიდი მოსამზადებელი სამუშა-

## МЕЖДУНАРОДНЫЙ ЖЕНСКИЙ ДЕНЬ

8 МАРТА, СРЕДА.

На II международной конференции женщин-социалисток, состоявшейся в Копенгагене (Дания, 1910 г.), по инициативе видного деятеля международного рабочего движения Клары Цеткин было принято решение ежегодно отмечать во всех странах 8 марта — День международной солидарности в борьбе за равноправие женщин, мир и демократию. До Октябрьской революции он впервые был отмечен в Германии и Австрии (1911 г.), России (1913 г.), а затем и в других странах.

В Грузии женский день впервые был отмечен через две недели после установления Советской власти.

Указом Президиума Верховного Совета СССР от 8 мая 1965 года Международный женский день 8 марта объявлен в нашей стране нерабочим днем.

## АПРЕЛЬ

## ДЕНЬ ПАМЯТИ

8—9 АПРЕЛЯ, СУББОТА — ВОСКРЕСЕНЬЕ.

Проводится с 1983 года.

Отмечается в республике по инициативе общественности. Ему предшествует большая подготовительная работа партийных, советских

ოები, რომელსაც ეწევიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები და დაწესებულებები, შემოქმედებითი კავშირები, სკოლები და სასწავლებლები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

პირველ დღეს რესპუბლიკაში ყველგან ყვავილებით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს, ორგანიზებულად მიდიან ძმათა სასაფლაოებზე, გამოჩენილ რევოლუციონერთა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, ომისა და შრომის გმირთა სახლ-მუზეუმებსა და პანთეონებში.

მეორე დღეს რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში მოსახლეობა გადის სასაფლაოებზე, რათა პატივი მიაგოს გარდაცვლილ ახლობლებსა და ნათესავებს. ამასთან, ასუფთავებენ სასაფლაოებს, რგავენ მარადმწვანე მცენარეებსა და ბუჩქებს.

## ნარიმან ნარიმანოვის დღე

16 აპრილი, კვირა.

**მარნეული.**
**ტარდება 1983 წლიდან.**

ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაული. ეძღვნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, სახელოვან ინტერნაციონალისტ-ლენინელს ნარიმან ნაჯაფ ოღლი ნარიმანოვს (1871—1925).

სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეობასთან ერთად, იგი ეწეოდა დიდ

органов, профсоюзных и комсомольских организаций, министерств и ведомств, творческих союзов, научных учреждений, учебных заведений.

В первый день повсюду в республике возлагаются венки к памятникам В. И. Ленину, организуется посещение братских могил, домов-музеев видных революционеров, государственных и общественных деятелей, героев войны и труда, мемориалов и пантеонов.

На следующий день во всех городах и селах республики население приходит на кладбища, чтобы почтить память родных и близких. В этот день приводятся в порядок могилы, высаживаются вечнозеленые деревья и кустарники.

## ДЕНЬ НАРИМАНА НАРИМАНОВА

16 АПРЕЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Марнеули.**
**Проводится с 1983 года.**

Посвящен видному деятелю Коммунистической партии и Советского государства Нариману Наджаф-оглы Нариманову (1871 — 1925), славному интернационалисту-ленинцу.

Наряду с государственной и партийной деятельностью вел большую

ლიტერატურულ მუშაობას: იყო მწერალი, პუბლიცისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, რუსული და აზერბაიჯანული ენების სახელმძღვანელოების ავტორი.

## შრომის ზეიმი

16 აპრილი, კვირა.

**გალი.**
ტარდება 1980 წლიდან

სოფლის მეურნეობის მშრომელთა და მეცნიერთა თანამეგობრობის დღესასწაული.

გალის რაიონი საქართველოს სუბტროპიკული ზონის ერთ-ერთი რაიონია. მისი წამყვანი კულტურაა ჩაი, რომელსაც 8 ათასი ჰექტარი უკავია. განვითარებულია აგრეთვე მებაღეობა, საკვები და ეთერზეთოვანი კულტურები, მეცხოველეობა.

რაიონის მშრომელებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მეცნიერებთან, დიდ პატივს სცემენ მეცნიერული მიღწევების დანერგვას. რასაც გამოხატავს სახალხო დღესასწაული, რომელიც ეძღვნება გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ვეკუას (1907—1977).

აკად. ი. პ. ვეკუამ თვალსაჩინო საბჭოთა მათემატიკოსმა და მექანიკოსმა, დიდი წვლილი შეიტანა მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში. იგი იყო სოციალისტური შრომის გმირი (1969), ნოვოსიბირსკისა (1959—1964) და თბილისის (1965—1972) სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა

литературную работу: писатель, публицист, драматург, переводчик, автор учебников русского и азербайджанского языков.

## ПРАЗДНИК ТРУДА

16 АПРЕЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Гали.**
Проводится с 1980 года.

Праздник содружества тружеников сельского хозяйства и ученых.

Ведущей культурой одного из субтропических районов Грузии — Гальского — является чай, плантации которого занимают около 8 тысяч гектаров. Развиты также здесь садоводство, производство кормовых и эфиромасличных культур, животноводство.

Трудящиеся района поддерживают тесные взаимосвязи с учеными, интенсивно внедряют в хозяйство достижения науки. Одним из выражений содружества науки и труда является и этот народный праздник, посвященный грузинскому ученому и общественному деятелю Илье Векуа (1907—1977).

Академик И. П. Векуа, видный советский математик и механик, внес большой вклад в развитие математической науки. Он был Героем Социалистического Труда (1969), ректором Новосибирского (1959—1964) и Тбилисского (1965—1972) государственных университетов, президентом Академии наук Грузин-

აკადემიის პრეზიდენტი (1972—1977), საზღვარგარეთის არაერთი აკადემიისა და საერთაშორისო მათემატიკური ორგანიზაციის უცხოელი წევრი.

ской ССР (1972—1977), членом многих зарубежных академий и международных математических организаций.

## ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების დღე (1870 წ.)

22 აპრილი, შაბათი.

პარტია არის
ხერხემალი მუშათა კლასის,
და ჩვენი საქმის უკვდავება
არის პარტია...
... კლასის ტვინი.
კლასის საქმე, ძალა კლასის,
მისი დიდება — აი პარტია.
ჩვენი პარტია და ლენინი —
ტყუპნი არიან,...

ჩვენ ვამბობთ — ლენინ
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას,
ვამბობთ, — პარტია,
და ვგულისხმობთ —
ლენინი, ჩვენი.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

## ДЕНЬ РОЖДЕНИЯ ВЛАДИМИРА ИЛЬИЧА ЛЕНИНА (1870).

22 АПРЕЛЯ, СУББОТА.

Партия — спинной хребет рабочего класса.
Партия —
бессмертие нашего дела.
...Мозг класса,
дело класса,
сила класса,
слава класса—вот что такое партия.
Партия и Ленин —
близнецы-братья...
Мы говорим Ленин,
подразумеваем —
партия,
Мы говорим
партия,
подразумеваем —
Ленин.

ВЛАДИМИР МАЯКОВСКИЙ

## ქუჩის ზეიმი

23 აპრილი, კვირა.

ცხინვალი.
ტარდება 1977 წლიდან.

ეძღვნება იმ პიროვნებას, ქალაქს (რაიონს), ვის სახელსაც ქუჩა ატარებს.

## ПРАЗДНИК УЛИЦ

23 АПРЕЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Цхинвали.
Проводится с 1977 года.

Посвящен лицу, городу или району, чье имя носит улица.

## ინტერნაციონალური მეგობრობის ზეიმი

23 აპრილი, კვირა.

საგარეჯოს რ-ნი, სოფ. იორმუღანლო.
ტარდება 1976 წლიდან.

იორმუღანლო სასოფლო საბჭოს ცენტრია სოფლებისა: იორმუღანლო, თულარი, კაზლარი, ლამბალო, ქეშალო. სასოფლო საბჭო ცნობილია ლამბალოს მეთესლეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობით. აქ ძმურად, მეგობრულად ცხოვრობენ ქართველები და აზერბაიჯანელები. დღესასწაულიც მათ მეგობრობას, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ეძღვნება.

## ПРАЗДНИК ИНТЕРНАЦИОНАЛЬНОЙ ДРУЖБЫ

23 АПРЕЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Сагареджойский район,
с. Иормуганло.
Проводится с 1976 года.

Иормуганло является центром сельсовета, объединяющего села Иормуганло, Тулар, Казлар, Ламбало, Кешало. Сельсовет известен Ламбалойским семеноводческо-молочным совхозом. Здесь по-братски живут и трудятся грузины и азербайджанцы. И праздник посвящен дружбе этих двух народов, установлению Советской власти в Азербайджане.

## სიჭაბუკე

30 აპრილი, კვირა.

ხაშურის რ-ნი, დაბა სურამი.
ტარდება 1977 წლიდან.

ახალგაზრდობის ზეიმი, რომელსაც ხაშურში „სიჭაბუკე“ უწოდეს, ნათლად გვიჩვენებს ჭაბუკებისა და ქალიშვილების მზადყოფნას, სახელი და დიდება შემატონ მშობლიურ რაიონს, რესპუბლიკას, მთელ ჩვენს ქვეყანას, სამაგალითონი იყვნენ სწავლასა და შრომაში.

## «ЮНОСТЬ»

30 АПРЕЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Хашури,
пос. Сурами.
Проводится с 1977 года.

Праздник молодости. Он демонстрирует готовность юношей и девушек приумножать славу Родины, родной партии, быть примером в учебе и труде.

## მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე

1 მაისი, ორშაბათი.

1886 წლის პირველ მაისს ქ. ჩიკაგოში (აშშ) პოლიცია ულმობლად გაუსწორდა მუშათა დემონსტრაციას, რომელიც მოითხოვდა 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას. დახვრეტილთა პატივისცემისა და ამერიკელ მუშებთან სოლიდარობის ნიშნად, II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესმა (1889 წ.) პირველი მაისი გამოაცხადა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ. იგი პირველად აღინიშნა 1890 წ. ავსტრია-უნგრეთში, ბელგიაში, გერმანიაში, დანიაში, ესპანეთში, იტალიაში, აშშ-ში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, შვეციაში; რუსეთში — 1891 წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დღესასწაული კიდევ უფრო მასობრივი გახდა და მკვეთრი რევოლუციური, ანტიიმპერიალისტური ელფერი შეიძინა.

საქართველოში პირველი პირველმაისობა გაიმართა 1898 წ. თბილისის გარეუბანში, მლაშე ტბის რაიონში, არალეგალურად. ზეიმში მონაწილეობდა 70 კაცი. შემდეგ წლებში უფრო ორგანიზებული და ფართო ხასიათი მიიღო. 1901 წლის საპირველმაისო გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც ქალაქის ცენტრში (ახლანდელი კოლმეურნეობის მოედანი) გაიმართა, პოლიციასთან ხელჩართული ბრძოლით დამთავრდა. ამ შეტაკებაში მრავალი მუშა



## ДЕНЬ МЕЖДУНАРОДНОЙ СОЛИДАРНОСТИ ТРУДЯЩИХСЯ

1 МАЯ, ПОНЕДЕЛЬНИК.

Первого мая 1886 года в Чикаго (США) полиция беспощадно расправилась с демонстрацией рабочих, требовавших введения 8-часового рабочего дня. В знак уважения к жертвам полицейской расправы и солидарности с американскими рабочими Парижский конгресс II Интернационала (1889 г.) объявил Первое мая Днем международной солидарности трудящихся. Впервые он был отмечен в 1890 году в Австро-Венгрии, Бельгии, Германии, Дании, Испании, Италии, США, Норвегии, Франции, Швеции; в России — в 1891 г. После Великой Октябрьской социалистической революции праздник стал более массовым и приобрел четко выраженную революционно антиимпериалистическую окраску.

В Грузии первая маевка состоялась нелегально в 1898 году в пригороде Тбилиси, в районе Соленых озер. В ней участвовали 70 человек. В последующие годы празднование 1 мая приняло более организованный и массовый характер. Грандиозная первомайская демонстрация 1901 года, которая состоялась в центре города (на нынешней Колхозной площади), завершилась рукопашной схваткой с полицией. В

დაიღუპა, მრავალი დაიჭრა, ბევრიც დააპატიმრეს და რუსეთის შორეულ ადგილებში გადაასახლეს. დემონსტრაციას მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა გაზეთ „ისკრის“ ფურცლებზე. საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ცხოვრებაში, მტკიცედ დამკვიდრდა საპირველმაისო დღესასწაული, რომელიც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული გახდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

этой стычке погибло много рабочих, многие были ранены и арестованы, а затем сосланы в отдаленные места России. Демонстрация получила на страницах газеты «Искра» высокую оценку В. И. Ленина. С этого времени в жизни трудящихся Грузии прочно утвердился праздник Первомая, ставший всенародным после установления здесь Советской власти.

## 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღე

### 9 მაისი, სამშაბათი.

დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1945 წლის 8 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად.

გამარჯვების პირველი დღესასწაული გაიმართა მოსკოვში 1945 წლის 24 ივნისს. დღესასწაულში მონაწილეობდნენ ფრონტების, თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარების ნაკრები პოლკები. იგი დაამთავრა ჯარისკაცების კოლონამ, რომელსაც მოჰქონდა განადგურებულ გერმანელთა არმიებისა და დივიზიების 200 დროშა. ეს დროშები დაყარეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის წინ.

დღესასწაულს ყოველწლიურად მოაქვს ახალი განწყობილება, ახალი ხალი-

## ДЕНЬ ПОБЕДЫ СОВЕТСКОГО НАРОДА В ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЕ 1941—1945 ГОДОВ

### 9 МАЯ, ВТОРНИК.

Учрежден Президиумом Верховного Совета СССР 8 мая 1945 года в честь победы над фашистской Германией.

Первый праздник Победы состоялся в Москве 24 июня 1945 года. В празднике участвовали сводные полки фронтов, наркомата обороны, войск Военно-Морского Флота. Завершала его колонна воинов, которые несли 200 знамен разгромленных немецких армий и дивизий. Эти знамена были повергнуты к подножию Мавзолея В. И. Ленина.

Утвердившийся в нашей стране ежегодный праздник создает новое настроение, рождает гордость и вол-

სი, სიამაყე და მღელვარება, რადგან იგი გამარჯვებასთან ერთად, გახსენებაა იმ გმირებისა, ვინც ბრძოლებში დაეცა. საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა საქართველომ, რომელმაც სამშობლოს დამცველთა რიგებში შვიდას ათასამდე მებრძოლი გაგზავნა, რომელთა შორის ნახევარი მამაცთა სიკვდილით დაეცა ფრონტებზე.

## ინტერნაციონალური მეგობრობის ზეიმი

14 მაისი, კვირა.

სიღნაღის რ-ნი, სოფ. ულიანოვკა და მაღარო.
ტარდება 1979 წლიდან.

ეძღვნება ქართველი და რუსი ხალხების ძმობასა და მეგობრობას.

სიღნაღის სოფლების მაღაროსა და ულიანოვკას ასწლოვანი მეზობლური ცხოვრება, მათი შრომა, ურთიერთობა სამაგალითოა. დღესასწაულიც მათ ძმურ ცხოვრებას ასახავს. ზეიმის ცენტრს წარმოადგენს ამ სოფლებს შორის საზღვარი. საზღვარს პირობითად ვამბობთ, თორემ მათთვის საერთოა ტერიტორიაც, საქმეებიც, გეგმებიც, ოცნებებიც.

## პირველი კალათის ზეიმი

14 მაისი, კვირა.

გუდაუთის რ-ნი, სოფ. დურიფში.
ტარდება 1976 წლიდან.

ოდესღაც უცნობი ჩაის კულტურა დღეს მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მას უდიდესი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სუბტროპიკული

нение, т. к. для многих он является также днем памяти героев, павших в боях за Родину. Свой вклад в Великую Победу советского народа внесла и Грузия: около 700 тысяч ее сыновей и дочерей стали в ряды защитников Отчизны. Половина из них пали смертью храбрых на фронтах Великой Отечественной войны.

## ПРАЗДНИК ИНТЕРНАЦИОНАЛЬНОЙ ДРУЖБЫ

14 МАЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Сигнахский район,
сёла Ульяновка и Магаро.
Проводится с 1979 года.

Посвящен братству и дружбе русского и грузинского народов. Одним из ярких примеров этой дружбы является вековое добрососедство сел Ульяновка и Магаро Сигнахского района. Праздник отражает братскую жизнь тружеников этих двух сел. Центром его является граница между селами. Понятие «граница» применено условно: границы, как таковой, не существует. Здесь все общее — и территория, и дела, и планы, и мечты.

## ПРАЗДНИК ПЕРВОЙ КОРЗИНЫ

14 МАЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Гудаутский район, с Дурипши.
Проводится с 1976 года.

Ранее незнакомая Грузии и Абхазии чайная культура сегодня прочно утвердилась в жизни нашего народа. Она играет огромную роль в экономике хозяйств субтропической зоны республики.

ზონის მეურნეობათა ეკონომიკაში. ამჟამად სსრ კავშირში წარმოებული ჩაის 95% საქართველოზე მოდის. გუდაუთის რაიონი რესპუბლიკის მეჩაიეობის ერთ-ერთი რაიონია.

დღესასწაულიც ამ მნიშვნელოვანი კულტურის — ჩაის კრეფის სეზონის დაწყებას ეძღვნება.

В настоящее время 95 процентов производимого в Советском Союзе чая приходится на долю Грузии, а Гудаутский район — один из чаеводческих районов республики. Праздник посвящен началу сбора чайного листа.

## ყვავილების დღესასწაული

14 მაისი, კვირა.

ქუთაისი.
ტარდება 1980 წლიდან.

ქუთაისს სამართლიანად უწოდებენ სავარდო და სამაისო ქალაქს. იგი ყვავილებშია ჩაფლული. აქ ხარობს ვარდი და მიმოზა, მიხაკი და იორდასალამი, ჰერბერა და მრავალი სხვა სასიამოვნო ფერისა და სურნელოვანი ჯიშის ყვავილი. მაგრამ არის ერთი დღე, როცა ქალაქი განსაკუთრებით მშვენდება და ლამაზდება. ეს არის ყვავილების დღესასწაული, რომელიც აქ ყოველი წლის მაისის თვეში იმართება.

ამ დღეს ქალაქის თითოეული ბაღი და სკვერი, გაზონი და დეკორატიული კუთხე, სახლის აივანი და მოაჯირი, ქუჩა და ეზო კიდევ უფრო გალამაზებული, მორთულ-მოკაზმული გამოიყურება. მხატვრული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მრავალფეროვანი პროგრამით გამოსვლები ქალაქის მოსახლეობისა და მრავალრიცხოვანი სტუმრების საერთო მხიარულებას ორგანულად ერწყმის.

## ПРАЗДНИК ЦВЕТОВ

14 МАЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Кутаиси.**
**Проводится с 1980 года.**

Кутаиси по праву называют городом роз. Он утопает в цветах. Взгляд радуют розы и мимозы, гвоздики и хризантемы, другие яркие, благоухающие цветы.

Но есть один день, когда город становится особенно красивым, цветы — особенно привлекательными. Это праздник цветов, который проводится в Кутаиси ежегодно в мае.

В этот день каждый сад и сквер, газон и декоративный уголок города, балконы домов, улицы и дворцы выглядят особенно нарядными.

Выступления художественных коллективов и отдельных исполнителей на площадях тепло принимают горожане и многочисленные гости.

## ᲓᲔᲓᲘᲡ ᲓᲦᲔ

14 ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ.

**ზუგდიდის რ-ნი.**
ტარდება 1983 წლიდან.

ეძღვნება მრავალშვილიან დედებს. ამ დღეს ხალხით ივსება ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი. საუკუნოვანი ჭადრების ხეივანში გაისმის დედისადმი მიძღვნილი ომახიანი, ქართული სიმღერები და საგალობლები, ჟღერს ლექსი, ისმის გულთბილი სიტყვები. თეატრალიზებული სანახაობის მიზანია წარმოადგინოს მრავალი შვილით გამოწვეული ოჯახის სიხარული, რევოლუციამდელი ქალის მძიმე ხვედრი, დიდი სამამულო ომის პერიოდის ტრაგედია და გამარჯვების სიხარული, თანამედროვე ეტაპზე მშვიდობისათვის დაუღალავი ბრძოლა. რაიონულ ცენტრში გამართული ზეიმი აგვირგვინებს წინა დღეებში სხვა სოფლებში გამართულ ზეიმებს, რომლებიც მრავალშვილიან დედებს ეძღვნება.

ზეიმის მოწოდებაა ქართული ოჯახის კეთილშობილური ტრადიციების მტკიცედ დაცვა.

## ᲒᲐᲠᲔᲯᲝᲑᲐ

14 ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ.

**საგარეჯო,**
დავითგარეჯის სამონასტრო
კომპლექსის ტერიტორია.
ტარდება 1975 წლიდან.

დავითგარეჯა, ფეოდალური ხანის საქართველოს მნიშვნელოვანი თვალსაჩინო სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი, მდებარეობს თბილისის სამხ-

## ДЕНЬ МАТЕРИ

14 МАЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Зугдидский район.**
Проводится с 1983 года.

Посвящен многодетным матерям. В этот день в Зугдидском ботаническом саду бывает больше, чем обычно, солнца, радости и веселья. В аллее вековых платанов звучат грузинские песнопения и стихи в честь женщины-матери. Театрализованные представления посвящаются святым чувствам любви, радости многодетных семей, тяжелому уделу многодетных матерей до революции, рассказывается о трудовых подвигах матерей после революции, их трагедии в период Великой Отечественной войны, о радости Победы, неустанной борьбе за мир на современном этапе. Этот праздник завершает прошедший накануне во всех селах района День матери.

Девиз праздника — бережно хранить благородные традиции грузинской семьи.

## «ГАРЕДЖОБА»

14 МАЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Сагареджо.**
Территория монастырского
комплекса
Давидгареджи.
Проводится с 1975 года.

Давидгареджи — значительный монастырский пещерный комплекс Грузии феодальной эпохи. Находится в 60—70 километрах юго-восточ-

რეთ-აღმოსავლეთით 60—70 კმ-ზე, გარეჯის კლდოვან მთებში. დაარსებულია VI ს. პირველ ნახევარში. სამონასტრო კომპლექსი კულტურისა და განათლების მძლავრი კერა გახდა, სადაც დიდი შემოქმედებითი მუშაობა ჩქეფდა. ამრავლებდნენ ხელნაწერებს, ადგენდნენ კრებულებს, დახმარებას უწევდნენ კულტურის სხვა კერებს. აქვე დაცული იყო ხელნაწერთა მდიდარი ფონდი. ამასთან, უდიდეს ინტერესს იწვევს კომპლექსის არქიტექტურა და ფრესკული მხატვრობა.

უცხოელმა დამპყრობლებმა მრავალჯერ დაარბიეს და ააოხრეს დავითგარეჯა. ცხოვრება აქ თანდათან ჩაკვდა, გაუკაცურდა, დაცარიელდა გარშემო მდებარე სოფლები და მამულები, 40 ათას ჰექტრამდე ტერიტორია უდაბნოდ იქცა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

დავითგარეჯის უდაბნოს აღორძინება ათ წელზე მეტია დაიწყო. გაიწმინდა, გასუფთავდა, კეთილმოეწყო სამონასტრო კომპლექსი, მდინარე მტკვრიდან 30 კმ-ზე გაიყვანეს სარწყავი სისტემის პირველი რიგი, რომელმაც ოდითგანვე უნაყოფო 750 ჰექტარი ფართობი მორწყა, აიგო 130 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი 18 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. და დღეს უდაბნო უკვე ფართოდ მხრებგაშლილი სოფელია, სადაც ფუნქციონირებენ შემდეგი ორგანიზაცია-დაწესებულებანი: მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, მუზეუმ-ნაკრძალი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, მოძრავი მექანიზებული კო-

нее Тбилиси, в скалистых горах Гареджи. Основан в первой половине VI века. Монастырский комплекс стал мощным очагом культуры и просвещения. Здесь размножались рукописи, составлялись научные сборники, оказывалась помощь другим центрам культуры. Здесь же хранился богатый фонд рукописей.

Огромный интерес вызывает архитектура комплекса, его фресковая живопись.

Иноземные захватчики много раз разоряли Давидгареджи. Жизнь здесь постепенно угасала, опустели села вокруг монастыря, около 40 тысяч гектаров превратились в пустыню в полном смысле этого слова.

Возрождение пустыни Гареджи началось более десяти лет назад. Был очищен и благоустроен монастырский комплекс. На 30 км. от реки Куры была проведена первая очередь оросительной системы, оживившая 750 гектаров бесплодных земель, построено 130 двухэтажных жилых домов общей площадью 18 тыс. кв. метров. И сегодня Удабно—обжитое село, в котором функционируют животноводческий совхоз, музей-заповедник, управление мелиорации и водного хозяйства, передвижная механизированная колонна № 62, гидрометеорологическая станция, отделение связи, средняя школа, детский сад-ясли, амбулатория, ветучасток, библиотека, клуб,

ლობა № 62, ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური, კავშირგაბმულობის განყოფილება, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, საექიმო ამბულატორია, ვეტუბანი, ბიბლიოთეკა, კლუბი, სავაჭრო ცენტრი, სასადილო, პურის საცხობი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. გარდა ამისა, მიმდინარეობს მეღორეობის კომპლექსის მშენებლობა, გრძელდება საცხოვრებელი სახლების, სახალხო მეურნეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, სამელიორაციო სისტემის გაფართოება, დამთავრდა საგარეჯო-უდაბნოს გზატკეცილის მოასფალტება, მიმდინარეობს დიდი სარესტავრაციო სამუშაოები.

უდაბნოს აღორძინებაში დიდი როლი შეასრულა სახალხო დღესასწაულმა, რომელიც უკვე ტრადიციული გახდა. იგი არის არა მარტო დღევანდელი, არამედ აღორძინებული უდაბნოს ხვალინდელი დღის, მშობლიური მიწის მოყვარულ ადამიანთა გარჯით აღდგენილი სოფლის რეალობად ქცეული ოცნების ზეიმი.

### ბათუმი—ძმობისა და მეგობრობის ქალაქი

20 მაისი, შაბათი.

**ბათუმი.**

**ტარდება 1982 წლიდან.**

ბათუმი, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, სამგზის ორდენოსანი აჭარის ასსრ დედაქალაქი, სახელო-

торговый центр и столовая, пекарня, объекты бытового обслуживания. Помимо этого ведется строительство свиноводческого комплекса, продолжается строительство жилых домов, объектов народнохозяйственного и культурно-бытового назначения, расширение мелиоративной системы, завершено асфальтирование шоссейной дороги Сагареджо—Удабно. Продолжаются масштабные работы в монастырском комплексе.

Большую роль в возрождении Гареджи сыграл народный праздник, ставший уже традиционным. Это праздник не только сегодняшнего, но и завтрашнего дня восстановленного руками трудолюбивых людей Удабно, активное и широкое участие в котором принимает весь Сагареджойский район, соседствующие с ним города и села, трудящиеся столицы республики.

### БАТУМИ — ГОРОД ДРУЖБЫ И БРАТСТВА

20 МАЯ, СУББОТА.

**Батуми.**

**Проводится с 1982 года.**

Батуми, один из древнейших городов Грузии — столица трижды орденоносной Аджарской АССР, город славных революционных и тру-

ვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ქალაქია. XX ს. დასაწყისში ქალაქის პროლეტარიატის მძლავრმა გამოსვლებმა დიდი გავლენა მოახდინეს მშრომელთა ფართო მასებზე.

თანამედროვე ბათუმი არის ქალაქი-კურორტი, ქალაქი-ბაღი, ძმობისა და მეგობრობის ქალაქი; სიდიდით საქართველოს სსრ მესამე ინდუსტრიული ქალაქია. აქ ერთიან ძმურ ოჯახად მუშაობს და ცხოვრობს 80-ზე მეტი ერის წარმომადგენელი. ქალაქის 39 საწარმო უშვებს 80-ზე მეტი დასახელების სამრეწველო პროდუქციას, მათ შორის ნავთობპროდუქტებს, ჩაისა და კვების მრეწველობის მანქანებს, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მტვერსასრუტებს, ავეჯსა და ფეხსაცმელს, შეკერილ ნაწარმსა და სამკურნალო პრეპარატებს. 60-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის სოციალისტურ ქვეყნებში, აგრეთვე არგენტინაში, ავსტრიაში, აშშ-ში, ინგლისში, ეგვიპტეში, ინდოეთში და სხვ. იგზავნება ბათუმის საწარმოთა პროდუქცია.

ბათუმი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული და სამეცნიერო ცენტრიცაა. აქაა თავმოყრილი ავტონომიური რესპუბლიკის თითქმის ყველა სამეცნიერო დაწესებულება. აქვეა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფართო ქსელი, ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, აჭარის სახელმწიფო და რევოლუციის მუზეუმები, საპატიო ნიშნის

довых традиций. В начале XX века мощные выступления пролетариата города оказали большое организующее воздействие на широкие массы трудящихся.

Современный Батуми—это город-курорт, город-сад, город братства и дружбы. По величине — это третий индустриальный центр в Грузии. В единной братской семье здесь трудятся и живут представители свыше 80 наций и народностей, 39 предприятий города выпускают более 800 наименований промышленной продукции, в том числе нефтепродукты, машины для чайной и пищевой промышленности, бытовые и промышленные пылесосы, мебель и обувь, швейные изделия и лекарственные препараты. Продукция батумских предприятий направляется более чем в 60 стран мира, в том числе во все социалистические страны, а также в Аргентину, Австрию, США, Индию, Египет, Англию и др.

Батуми является также одним из важнейших культурных и научных центров нашей республики. Здесь сосредоточены почти все научные учреждения автономной республики, находится широкая сеть общеобразовательных школ, средних специальных учебных заведений и профессионально-технических училищ, Батумское мореходное училище, Государственный педагогический институт имени Руставели, Государственный музей и Музей революции Аджарии, ордена «Знак Почета» го-

ორდენოსანი ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრი, აჭარის სახელმწიფო ფილარმონიისა და კულტურის სხვა მრავალი დაწესებულება. დიდ ყურადღებას იპყრობს ბათუმის ბოტანიკური ბაღი, კულტურისა და დასვენების ზღვისპირეთის პარკი, სსრ კავშირში ერთ-ერთი დიდი აკვარიუმი, სადაც ბინადრობს შავი ზღვის, აგრეთვე სხვა ზღვებისა და ოკეანეების, მტკნარი წყლების ცხოველთა 60-მდე სახეობა (ზვიგენი, ორაგული, სვია, ზღვის მამალი, ცხენთევზა და სხვ.), საყოველთაოდაა ცნობილი მისი დელფინარიუმი.

### ზნეობრივი გმირობის უკვდავება

20 მაისი, შაბათი.

მახარაძის რ-ნი, სოფ. ლიხაური.
ტარდება 1982 წლიდან.

ეძღვნება დიდ მამულიშვილსა და მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს (1863—1953).

აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იყო არქეოლოგი, საქართველოს ისტორიის დაუღალავი მკვლევარი, მოგზაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1918 წ.), სამშობლოს უანგარო მოყვარული. თავისი დიდი ნიჭი, ცოდნა, რწმენა, ნებისყოფა მთლიანად მოახმარა ერის სულიერი და კულტურული საუნჯე-საგანძურის შესწავლას, ხანგრძლივი ემიგრაციის უძნელეს პირო-

сударственный драматический театр имени Ильи Чавчавадзе, Аджарская государственная филармония, другие учреждения культуры. Большое количество народа привлекает Батумский ботанический сад, Приморский парк культуры и отдыха, один из крупнейших в СССР аквариумов, в котором содержится около 60 видов животных, населяющих Черное море и океаны, а также пресноводные (акулы, лосось, морской петушок, морской конек и др.). Всем известен здешний дельфинарий.

### «БЕССМЕРТИЕ НРАВСТВЕННОГО ПОДВИГА»

20 МАЯ, СУББОТА.

Махарадзевский район,
с. Лихаури.
Проводится с 1982 года.

Посвящен выдающемуся ученому и патриоту Эквтиме Такаишвили (1863—1953).

Академик Эквтиме Такаишвили вел многостороннюю деятельность. Он был археологом, неустанным исследователем истории Грузии, путешественником, одним из основателей Тбилисского государственного университета (1918 г.). Свой большой талант, знания, убежденность, волю он целиком отдал делу изучения духовной и культурной сокровищницы народа, ее сохранению в условиях труднейшей, длительной эмиграции и возвращению родному народу.

ბეზში მის დაცვას და უკლებლივ თავისი ერისათვის ჩაბარებას.

ასეთ ადამიანებს ხალხი არ ივიწყებს. სახალხო ზეიმი, რომელიც ტარდება დევიზით „ზნეობრივი გმირობის უკვდავება" ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი და ნათელი კვალი დატოვა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელიც ახალგაზრდობისათვის ზნეობრივი გმირობის მაგალითს წარმოადგენს.

## სიმღერის დღესასწაული

27 მაისი, შაბათი.

**სიღნაღი.**
ტარდება 1979 წლიდან.

ეძღვნება ცნობილ ქართველ მომღერალს ვანო სარაჯიშვილს (1879—1924).

ვანო (ივანე) პეტრეს ძე სარაჯიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1923) თანაბარი სიძლიერით ასრულებდა წამყვან პარტიებს არაყიშვილის, ფალიაშვილის, დოლიძის, ვერდის, ბიზეს, გუნოს, ვაგნერის, ჩაიკოვსკის, რუბინშტეინისა და სხვა კომპოზიტორების ოპერებიდან, აგრეთვე რომანსებს. სხვადასხვა დროს გამოდიოდა პეტერბურგის, ბაქოს, აგრეთვე იტალიის მთელი რიგი ქალაქების, ხოლო 1908 წლიდან თბილისის ოპერის თეატრში და საერთო აღიარება მოიპოვა. იგი ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელია, სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა, ხალხმა მას „საქართველოს ბულბული" უწოდა.

Народ не забывает таких людей. Подтверждением этого является народный праздник, который проводится под девизом «Бессмертие нравственного подвига». Он наглядно показывает, какой большой и светлый след оставил Эквтиме Такаишвили, являющий собой замечательный пример для молодежи.

## ПРАЗДНИК ПЕСНИ

27 МАЯ, СУББОТА.

**Сигнахи.**
Проводится с 1979 года.

Посвящен грузинскому певцу Вано Сараджишвили (1879—1924).

Вано (Иван) Петрович Сараджишвили, народный артист Грузинской ССР (1923), с одинаковым успехом исполнял ведущие партии в операх Аракишвили, Палиашвили, Долидзе, Верди, Бизе, Гуно, Вагнера, Чайковского, Рубинштейна и других композиторов, а также романсы. В разное время выступал на сценах Петербурга, Баку, а также ряда городов Италии, завоевав всеобщее признание. С 1908 года пел в Тбилисском оперном театре. Один из основоположников грузинского профессионального вокального искусства, ставший легендой при жизни. Народ назвал его «соловьем Грузии».

Ежегодно в мае древнейший город Сигнахи радушно встречает гостей. Здесь, на родине выдающего-

ყოველწლიურად, მაისის თვეში უძველესი ქალაქი სილნაღი გულღიად ეგებება სტუმრებს, სადაც დაიბადა გამოჩენილი მომღერალი. იკრიბებიან მუსიკალური ხელოვნების მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები.

ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში ეწყობა დიდი სახალხო სეირნობა. ისმის გრამფირფიტებზე ჩაწერილი ვანოს ხმა. საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე სრულდება სიმღერები.

ся певца, собираются многочисленные поклонники музыкального искусства.

В городском парке культуры и отдыха проводится большое народное гулянье. Звучит записанный на грампластинки голос Вано Сараджишвили. Исполняются песни на языках народов Советского Союза.

## ქართული ხალხური სიმღერის დღესასწაული

27 მაისი, შაბათი.

ზესტაფონის რ-ნი, სოფ. ცხრაწყარო.
ტარდება 1981 წლიდან.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ჭეშმარიტად საკვირველი და საშურველი ბედი ეწია სიმღერა „სულიკოს". მას მღერიან არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. იგი დაიბადა პატარა სოფელ ცხრაწყაროში და ქართული ხალხური სიმღერების სიმბოლო გახდა. ნათელი და ნაზი მელოდია აგებულია დიდი პოეტის აკაკი წერეთლის ლექსზე. სიმღერად კი აქცია ვარინკა მაჭავარიანმა-წერეთელმა, რომლის მშობლიური სოფელი, სადაც მის უბრალო საფლავზე ჩანგი და ბულბულია გამოხატული, წარმოადგენს ხალხური სიმღერის თაყვანისმცემელთა თავშეყრის ადგილს.

## ПРАЗДНИК ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ ПЕСНИ

27 МАЯ, СУББОТА.

Зестафонский район,
с. Цхрацкаро.
Проводится с 1981 года.

Совершенно справедливо отмечают, что песне «Сулико» выпала поистине удивительная и завидная судьба. Ее поют не только в нашей стране, но и за рубежом. Песня, родившаяся в большом селении Цхрацкаро и ставшая символом грузинской песни, покорила сердца миллионов людей разных национальностей. Чистая и нежная мелодия создана на стихи великого поэта Акакия Церетели. Стихи положены на музыку Варенькой Мачавариани-Церетели. На ее могиле в родном селе изображены лира и соловей. Здесь собираются поклонники народной песни.

В празднике, организаторами которого являются Застафонский рай-

დღესასწაულში, რომლის ორგანიზატორები არიან პარტიის ზესტაფონის რაიკომი და საქტელერადიოს სახელმწიფო კომიტეტი, მონაწილეობას იღებენ სტუმრები რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებიდან, აგრეთვე მოძმე სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან.

ჟიური გამარჯვებულებს სპეციალური პრიზებით აჯილდოებს. დღესასწაული მთავრდება სიმღერა „სულიკოს" შესრულებით. მღერის ყველა მონაწილე.

ком партии и Госкомтелерадио ГССР, принимают участие гости из ряда районов Грузии, из Армении и Азербайджана. Это вокальные самодеятельные художественные коллективы, семейные ансамбли и отдельные исполнители.

Жюри отмечает победителей специальными призами. Праздник завершается исполнением песни «Сулико» всеми участниками.

## ეგრისობა

### 27 მაისი, შაბათი.

ცხაკაია. ტარდება 1988 წლიდან.

ეგრისი დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სახელწოდებაა. ასე ერქვა — რიონსა და ეგრისწყალს (ვარაუდობენ მდინარეების ენგურის, ოხოჯასა და ღალიძგას) შორის მდებარე ტერიტორიას.

მთავარი თემა დღესასწაულისა არის მშობლიური მხარის წარსულისა და აწმყოსადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული.

## «ЭГРИСОБА»

### 27 МАЯ, СУББОТА.

Цхакая.
Проводится с 1988 года.

Эгриси—старинное грузинское название Западной Грузии. Так назывались земли между реками Риони и Эгрисцкали (по-видимому, реки Энгури, Оходжа или Галидзга).

Основная тема праздника—прошлое и настоящее родной земли.

## ახალგაზრდობის ზეიმი

### 27 მაისი, შაბათი.

გორის რ-ნი, სოფ. ძევერა.
ტარდება 1978 წლიდან.

გორის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობას. მათ

## ПРАЗДНИК МОЛОДЕЖИ

### 27 МАЯ, СУББОТА.

Горийский район, с. Дзевера.
Проводится с 1978 года.

Молодежь вносит значительный вклад в дальнейшее развитие сельского хозяйства Горийского района.

შორის მოწინავენი არიან ძევერას ახალგაზრდები.

სახალხო დღესასწაული, რომელიც უფროსი თაობის აქტიური მონაწილეობით ტარდება, სწორედ სოფლის ახალგაზრდებს ეძღვნება. დღესასწაული განადიდებს შრომას, უმღერის მშვიდობას, ბედნიერ აწმყოსა და მომავალს.

## პოეზიის დღესასწაული

28 მაისი, კვირა.

თბილისი, კიროვის რ-ნი.
ტარდება 1974 წლიდან.

ძველი თბილისის უბანში, ორთაჭალის ბორცვზე დაკრძალულია ცნობილი სომეხი პოეტი-აშუღი საიათნოვა (1712—1801). იგი ამიერკავკასიის სამ ენაზე ქმნიდა უკვდავ სასიმღერო შედევრებს, ამით ხელს უწყობდა ამიერკავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის განმტკიცებას, მოურიდებლად ამხელდა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს, კიცხავდა ვერაგობასა და მუხანათობას, გმობდა პატივმოყვარეობას.

საიათნოვას საფლავთან ყოველწლიურად, მაისის თვეში იკრიბებიან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პატივს მიაგებენ დიდ პოეტს.

## სიმღერის დღესასწაული

28 მაისი, კვირა.

ცაგერი.
ტარდება 1984 წლიდან.

გაზაფხულისა და შრომის ფოლკლორულ-თეატრალიზებული დღესასწაული.

სიმღერას საოცარი, არაჩვეულებრივი თვისება აქვს. იგი დედა ენასთან ერ-

В рядах передовиков и молодежь села Дзевера. Народный праздник, который проводится при активном участии старшего поколения, посвящен именно сельской молодежи. Праздник воспевает труд, творчество, счастливое настоящее и будущее.

## ПРАЗДНИК ПОЭЗИИ

28 МАЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.
Кировский район г. Тбилиси.
Проводится с 1974 года.

В старом Тбилиси, на Ортачальском холме, похоронен известный армянский поэт-ашуг Саят-Нова (1712—1801). Свои бессмертные песенные шедевры он создавал на языках трех закавказских народов: грузинском, армянском, азербайджанском. Саят-Нова способствовал укреплению многовековой дружбы народов Закавказья, беспощадно разоблачал уродливые стороны общественной жизни, бичевал вероломство и лицемерие, осуждал угодничество.

У могилы Саят-Нова ежегодно в последнее воскресенье мая собираются представители общественности Грузии, Азербайджана и Армении на праздник поэзии, воздавая дань уважения памяти большого поэта.

## ПРАЗДНИК ПЕСНИ

28 МАЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.
Цагери.
Проводится с 1984 года.

Фольклорно театрализованный праздник весны и труда. Песня обладает удивительным, необычным свойством. Как и родной язык, она

თად ერის კულტურის შემნახველი, მემატიანე და თანამედროვეობის სარკეა. მასში ფართოდ მჟღავნდება ხალხის ხასიათი, მისწრაფება, სიხარული.

დღესასწაულის პროგრამაშია გუნდური და ინდივიდუალური, ძველი და თანამედროვე სიმღერები. რაიონის მშრომელებთან ერთად დღესასწაულში მონაწილეობენ სტუმრები მეზობელი რაიონებიდან.

## ზეზვა გაფრინდაულის დღე

28 მაისი, კვირა.

ახმეტის რ-ნი, სოფ. ალვანი.
ტარდება 1984 წლიდან.

ზეზვა გაფრინდაული ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების (1659 წ.) გმირი და ერთ-ერთი მეთაური იყო. მისი ხელმძღვანელობით მომხდარა დამპყრობთა ჯერ ბახტრიონის ციხიდან განდევნა, ხოლო შემდეგ ალაზნის ველზე განადგურება. მოგვიანებით მტერს ღალატით შეუპყრია ზეზვა გაფრინდაული და სიკვდილით დაუსჯია.

ალვანელი მშრომელები თავიანთი გმირი წინაპრის დღეს ყოველწლიურად აღნიშნავენ სწორედ ბახტრიონის ისტორიული ციხის შემოგარენში.

## „კიდევაც დაიზრდებიან...“

28 მაისი, კვირა.

გორის რ-ნი, სოფ. ტყვიავი.
ტარდება 1981 წლიდან.

გორის რაიონის სოფელი ტყვიავი განთქმულია არა მარტო ბაღ-ვენახებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ხალხით.

является хранительницей культуры, летописью веков и зеркалом современности. В ней широко проявляется характер народа, его радости и заботы.

В программе праздника — хоровое и сольное пение старинных и современных песен. Вместе с тружениками района в нем принимают участие представители соседних районов.

## ДЕНЬ ЗЕЗВЫ ГАПРИНДАУЛИ

28 МАЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Ахметский район, с. Алвани.
Проводится с 1984 года.**

Зезва Гаприндаули был одним из руководителей кахетинского восстания против иранских захватчиков (1659 г.). Под его руководством они были изгнаны сначала из крепости Бахтриони, а затем разгромлены в Алазанской долине. Позже враги с помощью изменников схватили Зезву Гаприндаули и казнили его.

Трудящиеся Алвани решили ежегодно отмечать день памяти своего предка-героя.

## «И ВПРЕДЬ ПОДРАСТУТ...»

28 МАЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Горийский район,
с. Тквиави.
Проводится с 1981 года.**

Село Тквиави Горийского района известно не только садами и виноградниками, но и в первую очередь

ბევრმა მისმა მკვიდრმა დიდება მოუტანა სოფელს, რაიონს, მთელს რესპუბლიკას. ტყვიაველები ამაყობენ თავიანთი თანამემამულით აკადემიკოს ნიკო კეცხოველით (1897—1982), რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს; ამაყობენ პროფესიონალი რევოლუციონერით, რსდმპ ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი დამაარსებლით ამიერკავკასიაში ლადო კეცხოველით (1876—1903) და თავიანთი თანამედროვე სოფლის მეურნეობისა და ინტელიგენციის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენლით.

ზეიმი, რომელსაც ტყვიაველებმა ხატოვნად „კიდევაც დაიზრდებიან...“ უწოდეს, მიუძღვნეს იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი უმწიკვლო და უანგარო საქმეებით გაუთქვეს სახელი მშობლიურ სოფელს, მაგალითს წარმოადგენენ ახალგაზრდობისათვის.

## ივნისი

### საბაობა

3 ივნისი, შაბათი.

ბოლნისის რ-ნი, სოფ. ტანძია.
იმართება 1979 წლიდან.

ეძღვნება დიდ ქართველ მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, ლექსიკოგრაფსა და მწიგნობარს სულხან-საბა ორბელიანს (1658—1725), რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე იბრძოლა ქართველი ხალხის გადარჩენისათვის. მისი ცხოვრება სამშობლოსათვის თავდადების უმშვენიერესი მაგალითია, ხოლო მისი შემოქმედება ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული.

людьми. Многие его урожецы прославили село, район, всю республику. Тквиавцы гордятся своим земляком Нико Кецховели (1897—1982), который на протяжении многих лет стоял во главе Тбилисского государственного университета; профессиональным революционером, одним из основателей ленинско-искровских организаций РСДРП в Закавказье Ладо Кецховели (1876—1903), многими представителями современного сельского хозяйства и интеллигенции.

Праздник, который тквиавцы образно назвали словами из известного грузинского стихотворения «И впредь подрастут», посвящен людям, своими делами прославившим родное село, являющим пример для молодежи.

## ИЮНЬ

### «САБАОБА»

3 ИЮНЯ, СУББОТА.

Болнисский район,
с. Танздия.
Проводится с 1979 года.

Посвящен великому грузинскому писателю, общественному деятелю, лексикографу и книжнику Сулхану-Саба Орбелиани (1658—1725), который до последних дней своей жизни боролся за спасение грузинского народа. Его жизнь — подлинный пример отваги, а его творчество вошло в золотой фонд грузинской литературы.

## გოგლაობა

4 ივნისი, კვირა.

საგარეჯოს რ-ნი, სოფ. პატარძეული.
ტარდება 1979 წლიდან.

პოეზიის დღესასწაული. ეძღვნება გამოჩენილ ქართველ საბჭოთა სახალხო პოეტს, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს გიორგი ლეონიძეს (1899—1966), რომელსაც ხალხმა სიყვარულით „გოგლა" შეარქვა.

მისი შემოქმედების მთავარი თემაა პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. მისი ლექსები და პოემები უმღერიან საბჭოთა საქართველოს, საბჭოთა ხალხს. ამასთან, ნაყოფიერად იღვწოდა ლიტერატურისმცოდნეობაში, იყო ქართული, ქართულ-რუსული, ქართულ-უკრაინული ლიტერატურის ურთიერთობათა მკვლევარი, ძველი ხელნაწერების დაუცხრომელი მაძიებელი და გამომცემელი. სამჯერ მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია (1941, 1950, 1952), დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. მთელი მისი ცხოვრება-მოღვაწეობა წარმოადგენს სამშობლოსა და საბჭოთა ლიტერატურის სამსახურის მკაფიო მაგალითს.

## კონსტანტინე გამსახურდიას დღე

4 ივნისი, კვირა.

აბაშა.
ტარდება 1983 წლიდან.

ყოველწლიურად ამ დღეს აბაშის რაიონის მკვიდრთა ოჯახის კარი ღიაა მრავალრიცხოვანი სტუმრებისათვის:

## «ГОГЛАОБА»

4 ИЮНЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Сагареджойский район,**
**с. Патардзеули.**
**Проводится с 1979 года.**

Праздник поэзии посвящен выдающемуся грузинскому советскому народному поэту, общественному деятелю Георгию Николаевичу Леонидзе (1899—1966), которого народ с любовью называл «наш Гогла»

Главная тема его творчества — патриотизм и интернационализм. Его стихотворения и поэмы воспевают Советскую Грузию, советский народ. Он плодотворно работал и в литературоведении: являлся исследователем грузинской литературы, грузинско-русских, грузинско-украинских литературных взаимоотношений, вел неустанный поиск и издавал древние рукописи. Трижды (1941, 1950, 1952) удостоен Государственной премии СССР, награжден двумя орденами Ленина, орденом Трудового Красного Знамени и медалями. Вся его жизнь и деятельность являют собой яркий пример служения Родине и советской литературе.

## ДЕНЬ КОНСТАНТИНЭ ГАМСАХУРДИА

4 ИЮНЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Абаша.**
**Проводится с 1983 года.**

Ежегодно в первое воскресенье июня двери каждой семьи в Абашском районе широко распахиваются

მოდიან რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებიდან და ქალაქებიდან, რათა მონაწილეობა მიიღონ სახალხო ზეიმში, რომელიც ეძღვნება გამოჩენილ ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას (1893—1975).

დიდი და სახელოვანი გზა განვლო კ. გამსახურდიამ. იგი ქართული ლიტერატურის სიამაყეა. ბევრი მისი მხატვრული ნაწარმოები („მთვარის მოტაცება", „დავით აღმაშენებელი", „დიდოსტატის მარჯვენა" და სხვ.) თარგმნილია საბჭოთა კავშირისა და ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ხალხთა ენებზე.

для гостей из городов, районов республики, прибывающих сюда, чтобы принять участие в народном празднике, посвященном выдающемуся грузинскому писателю Константинэ Гамсахурдиа (1893—1975).

Большой и славный путь прошел К. Гамсахурдиа. Он стал гордостью грузинской литературы. Его произведения («Похищение луны», «Давид Строитель», «Десница великого мастера» и др.) переведены на языки почти всех народов Советского Союза и изданы во многих странах мира.

## ახუნდოვის დღე

10 ივნისი, შაბათი.

თბილისი, კიროვის რ-ნი.
ტარდება 1985 წლიდან

ეძღვნება მირზა ფათალი ახუნდოვს (1812—1878).

აზერბაიჯანელი მწერალი-განმანათლებელი, ფილოსოფოსი, აზერბაიჯანული დრამატურგიის ფუძემდებელი მირზა ფათალი ახუნდოვი 1834 წლიდან ცხოვრობდა თბილისში, აქვე ეზიარა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის მოწინავე ადამიანებთან, მათ შორის კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან. დაკრძალულია თბილისში (ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე).

ღრმა პატივისცემით ეკიდება ქართველი ხალხი მ. ფ. ახუნდოვის ხსოვნას. თბილისში გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი

## ДЕНЬ АХУНДОВА

10 ИЮНЯ, СУББОТА.

Кировский район г. Тбилиси.
Проводится с 1985 года.

Посвящен Мирзе Фатали Ахундову (1812—1878) — выдающемуся писателю-просветителю, философу, основоположнику азербайджанской драматургии.

С 1834 года Ахундов жил в Тбилиси, здесь он проникся революционно-демократическими идеями, поддерживал взаимоотношения с передовыми людьми своего времени, в том числе с сосланными на Кавказ декабристами. Похоронен в Тбилиси на территории нынешнего Ботанического сада.

Грузинский народ глубоко чтит память М. Ф. Ахундова, произведения которого переведены на грузин-

ქართულად ითარგმნა მისი ნაწერები, (1983). ყოველწლიურად მისი დღის აღნიშვნაც დიდი ადამიანისა და პატრიოტის ღრმა პატივისცემის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

## გმირთა დღე

10 ივნისი, შაბათი.

**კასპის რ-ნი, სოფ. ნოსტე.**
**ტარდება 1982 წლიდან.**

ეძღვნება უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლ ცნობილ ქართველ მხედართმთავარსა და თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს გიორგი სააკაძეს (1570—1629).

გიორგი სააკაძის მოღვაწეობის მთავარ მიზანს შეადგენდა შინაფეოდალური ბრძოლების აღკვეთა და თავადების ალაგმვა, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, საქართველოს გაერთიანება. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გამათავისუფლებელმა ბრძოლებმა, რომლებსაც გ. სააკაძე ხელმძღვანელობდა, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა. გ. სააკაძე, მისი პირმშო ავთანდილი და ორმოცამდე მხლებელი ოსმალეთში დაიღუპნენ (სადაც ისინი, ქართველ ფეოდალთა დევნის გამო, იძულებული გახდნენ გადასვეწილიყვნენ). დიდი ვეზირის ხუსრევ-ფაშას ბრძანებით, შეიპყრეს და ყველას თავები მოჰკვეთეს. მანამდე, ჯერ კიდევ 1625 წ., ქართლ-კახეთში აჯანყების დაწყების შემდეგ, თავი მოჰკვეთეს გიორგის ვაჟს პაატას, რომელიც მძევლად იყო ირანში შაჰ-აბას I-ის კარზე, და მამას გაუგზავნეს საქართველოში...

ский язык. В Тбилиси открылся дом-музей (1983). Ежегодный праздник — еще одно свидетельство уважения к памяти большого человека и патриота.

## ДЕНЬ ГЕРОЕВ

10 ИЮНЯ, СУББОТА.

**Каспский район, с. Носте.**
**Проводится с 1982 года.**

Посвящен известному грузинскому полководцу и видному политическому деятелю своего времени Георгию Саакадзе (1570—1629).

Георгий Саакадзе ратовал за прекращение внутрифеодальных распрей и обуздание князей, усиление централизованной власти, объединение Грузии. Освободительные битвы против персидских захватчиков, которыми руководил Г. Саакадзе, спасли население Восточной Грузии от физического уничтожения. Г Саакадзе, его сын Автандил и около сорока их соратников погибли в Турции. Они были схвачены и обезглавлены по приказу великого визиря Хусрев-паши. До этого, еще в 1625 году, после начала восстания в Картли — Кахети был обезглавлен сын Георгия — Паата, находившийся в качестве заложника в Иране, при дворце Шах-Аббаса I; голову сына отослали отцу в Грузию...

## დმანისობა

### 10 ივნისი, შაბათი.

**დმანისი.**
ტარდება 1981 წლიდან.

დმანისი სოფლის მეურნეობის რაიონია. მისი ძირითადი დარგებია სარძევე მეცხოველეობა და მეკარტოფილეობა. რაიონი ცნობილია VI—XIII სს. ხუროთმოძღვრული ძეგლებით, მათ შორის დმანისის ნაქალაქარი შუა საუკუნეების საქართველოს მსხვილი სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი ყოფილა. სწორედ აქ, ამ ტერიტორიაზე იმართება სახალხო დღესასწაული.

დღესასწაული საუკუნეების განმავლობაში რუდუნებით ნაგებ და ჟამთა სიავისაგან 200 წლის წინ მიტოვებულ დმანის-ქალაქს, მის აღდგენასა და განახლებას ეძღვნება. ეწყობა ისტორიის ამსახველი თეატრალიზებული სცენები, ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და ბერძნული ხალხური ეთნოგრაფიული ანსამბლების, საესტრადო, მხატვრული კითხვის ცნობილი ოსტატებისა და სიტყვაკაზმული მწერლობის წარმომადგენელთა გამოსვლები. დიდ ყურადღებას იპყრობს დაზგური ხელოვნების ნიმუშებისა და მხარეთმცოდნეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატების გამოფენები, ხალხური თამაშობანი.

## «ДМАНИСОБА»

### 10 ИЮНЯ, СУББОТА.

**Дманиси.**
**Проводится с 1981 года.**

Дманиси — центр сельскохозяйственного района. Основные отрасли — молочное животноводство и картофелеводство. Район известен своими памятниками зодчества (VI—XIII вв.). Дманисское городище было крупным стратегическим и экономическим центром средневековой Грузии. Именно здесь, на его территории, проводится народный праздник, посвященный восстановлению и обновлению города Дманиси, разрушенного временем и покинутого людьми 200 лет назад. Театрализованное представление, которое открывает праздник, отражает историческое прошлое и сегодняшний день. Программа «Дманисоба» включает выступления грузинских, русских, азербайджанских и греческих народных этнографических ансамблей, известных мастеров художественного слова и писателей, эстрадные представления. Большое внимание привлекают выставки образцов станковой живописи, экспонатов краеведческого историко-этнографического музея, народные игрища.

## იონა მეუნარგიას დღე

17 ივნისი, შაბათი

ზუგდიდის რ-ნი, სოფ. ცაიში.
ტარდება 1980 წლიდან.

იონა მეუნარგია (1852 — 1919), ცნობილი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე იყო. მის კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში, ნარკვევებსა და ფელეტონებში ასახულია იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-ისტორიული მოვლენები. მან დაამკვიდრა ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში ახალი, ე. წ. ბიოგრაფიული ჟანრი, ერთ-ერთმა პირველმა წარმოაჩინა ქართული მწერლობის თავისებურებანი, დიდი ამაგი დასდო რუსთველოლოგიას. იგი აქტიური მონაწილე იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“. მანვე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვებმა არა ერთხელ აღნიშნეს მისი დიდი დამსახურება. მადლიერი შთამომავლობა დიდ პატივს მიაგებს მის ნათელ ხსოვნას. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა დღესასწაული, რომელიც მშობლიურ სოფელ ცაიშში ყოველი წლის ივნისში ტარდება.

## ალიოშა ჯაფარიძის დღე

17 ივნისი, შაბათი

ონის რ-ნი, სოფ. შარდომეთი.
ტარდება 1980 წლიდან.

ეძღვნება გამოჩენილ პროფესიონალ რევოლუციონერ-ლენინელს პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძეს (1880—1918).

## ДЕНЬ ИОНЫ МЕУНАРГИЯ

17 ИЮНЯ, СУББОТА.

**Зугдидский район,
с. Цаиши.
Проводится с 1980 года.**

Иона Меунаргия (1852—1919) — известный писатель, переводчик, публицист, этнограф и общественный деятель. В его критических и публицистических статьях, очерках и фельетонах отражены исторические события того времени. Он утвердил в грузинском литературоведении новый, т. н. биографический жанр, одним из первых показал его самобытность и своеобразие, многое сделал в области руствелологии. Принимал активное участие в деятельности «Общества по распространению грамотности среди грузин». Ему принадлежит перевод на французский язык «Витязя в тигровой шкуре» Шота Руставели. Илья Чавчавадзе и Акакий Церетели не раз отмечали заслуги Ионы Меунаргия.

Одним из проявлений уважения к его светлой памяти стал праздник, который ежегодно проводится в его родном селе Цаиши в июне.

## ДЕНЬ АЛЕШИ ДЖАПАРИДЗЕ

17 ИЮНЯ, СУББОТА.

**Онский район, с. Шардомети.
Проводится с 1980 года.**

Посвящен профессиональному революционеру-ленинцу Прокофию (Алеше) Джапаридзе (1880—1918).

რაიონის ახალგაზრდები, დიდი სამამულო ომის, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები ამ დღეს გვირგვინებით ამკობენ ალიოშა ჯაფარიძის ძეგლს ქალაქ ონში. შემდეგ მიემგზავრებიან მის მშობლიურ სოფელ შარდომეთში, სადაც ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, მხატვრული კოლექტივების გამოსვლები, თეატრალიზებული სანახაობანი, საზეიმო კონცერტი, სახალხო სეირნობა.

## აკაკის დღე

18 ივნისი, კვირა.

**საჩხერე.**
ტარდება 1976 წლიდან.

ეძღვნება დიდ ქართველ პოეტსა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მეთაურს აკაკი წერეთელს (1840—1915).

დღესასწაულში მონაწილეობს დიდი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს მშობლიური კანევის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. ორი რაიონის ხალხთა მეგობრობაც სიმბოლურია, რადგან აკაკი წერეთელი და ტარას შევჩენკო მეგობრობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ ერთმანეთს.

დღესასწაული კანონზომიერად ატარებს პოეზიისა და მეგობრობის სახელს. დღესასწაულზე მთელი ხმით ჟღერს წინაპართა გენიით შექმნილი შთაგონებული პოეზია. მიმდინარე ზეიმი ემთხვევა პოეტის დაბადების 150 წლისთავისათვის მზადებას, რაც მომავალ წელს ფართოდ აღინიშნება.

Молодежь района, ветераны Великой Отечественной войны, партии и комсомола в этот день возлагают венки к памятнику Алеше Джапаридзе в городе Они. Затем они направляются в его родное село Шардомети, где проводятся различные спортивные состязания, выступления художественных коллективов, театрализованные представления, праздничный концерт, народное гулянье.

## ДЕНЬ АКАКИЯ

18 ИЮНЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Сачхере.**
Проводится с 1976 года.

Посвящен великому грузинскому поэту и одному из руководителей национально-освободительного движения Акакию Церетели (1840—1915).

В празднике принимает участие делегация трудящихся из родных мест великого украинского поэта Тараса Шевченко — Каневского района. Дружба тружеников этих двух районов символична: Акакий Церетели и Тарас Шевченко дружили и очень ценили друг друга.

Праздник закономерно именуется праздником поэзии, труда, дружбы. Во весь голос звучит в эти дни вдохновенная поэзия, созданная гением великих предков. Праздник проходит под знаком предстоящего в будущем году 150-летия со дня рождения поэта, которое будет широко отмечаться.

ივლისი

**მეცხვარის დღე**

2 ივლისი, კვირა.

**ლენინგორი.**
ტარდება 1976 წლიდან.

ლენინგორი სოფლის მეურნეობის რაიონია. მისი ძირითადი დარგია მეცხოველეობა.

მდინარე ქსნის თვალწარმტაც ხეობაში იკრიბებიან ლენინგორის რაიონის მშრომელები. დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ ყაზბეგის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. ლენინგორელი და ყაზბეგელი მეცხვარეები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი.

დღესასწაულზე აჯამებენ მიღწეულს, სახავენ ახალ გეგმებს. საუკეთესო მეცხოველეებს სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემენ. ახალგაზრდა მწყემსებს, რომლებმაც გადაწყვიტეს გაჰყვნენ მამა-პაპათა მეცხვარის ძნელ, მაგრამ ვაჟკაცურ გზას, გულთბილად ლოცავენ. ტრადიციულ ნაბდებსა და კომბლებს გადასცემენ.

**პოეზიის დღესასწაული**

8 ივლისი, შაბათი.

**მაიაკოვსკი.**
ტარდება 1974 წლიდან.

გამოჩენილი რუსი საბჭოთა პოეტი ვლადიმერ ვლადიმერის ძე მაიაკოვსკი (1893—1930) დაიბადა, ბავშვობისა და ყრმობის წლები გაატარა ბაღდადში

И Ю Л Ь

**ДЕНЬ ОВЦЕВОДА**

2 ИЮЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Ленингори.**
Проводится с 1976 года.

Ленингори — центр сельскохозяйственного района. Основная отрасль — животноводство.

В живописном ущелье реки Ксани собираются представители не только Ленингорского, но и делегация тружеников Казбегского района. Ведь овцеводов Ленингори и Казбеги связывает договор о социалистическом соревновании.

Праздник овцевода подводит итог трудовым достижениям, намечает новые рубежи. Отличившимся животноводам вручают памятные подарки и сувениры, тепло напутствуют молодых чабанов, передают им традиционные бурки и посохи как символ трудной и мужественной профессии.

**ПРАЗДНИК ПОЭЗИИ**

8 ИЮЛЯ, СУББОТА.

**Маяковски.**
Проводится с 1974 года.

Выдающийся русский советский поэт Владимир Маяковский (1893—1930) родился и провел годы детства и отрочества в Багдади (ныне

(ახლა მაიაკოვსკი), აქ აიგო მისი სახლ-მუზეუმი, რომელშიც 3000-მდე ექსპონატია დაცული. რაიონის მშრომელები გულთბილად ხვდებიან დღესასწაულის მონაწილე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ პოეტებს, მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს.

## მაიაკოვსკის დღეები

9 ივლისი, კვირა.

**ქუთაისი.**
ტარდება 1975 წლიდან.

პოეზიის დღესასწაული. ეძღვნება პოეტ-ტრიბუნს ვლადიმერ მაიაკოვსკის, რომელიც 1902—1906 წლებში ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. აქვე დაიწერა მისი პირველი ლექსის სტრიქონები. დღესასწაულში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის მხატვრული სიტყვის ოსტატები. ზეიმის დასკვნით საღამოზე ცხადდება მაიაკოვსკის პრემიის ლაურეატები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მაიაკოვსკის სახელობის პრემია დაწესდა 1980 წელს. იგი განკუთვნილია ახალგაზრდა (35 წლამდე) პოეტებისათვის. ენიჭებათ ნაწარმოების, ან ნაწარმოებთა ციკლისათვის, რომელიც მაიაკოვსკის პოეტური ტრადიციისამებრ განმსჭვალულია მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით, დიდი სოციალური და ზნეობრივი იდეალებით.

ყოველწლიურად დაწესებული ორი პრემიიდან, ერთი ენიჭება ქართველ პოეტს, ხოლო მეორე — მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენელს.

Маяковски). Здесь расположен дом-музей поэта, в котором собрано около 3-х тысяч экспонатов. Трудящиеся района радушно встречают поэтов, писателей, работников искусства, прибывших из разных уголков нашей страны.

## ДНИ МАЯКОВСКОГО

9 ИЮЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Кутаиси.**
Проводится с 1975 года.

Праздник поэзии. Посвящен поэту-трибуну Владимиру Маяковскому, который в 1902—1906 годах учился в Кутаисской гимназии. Здесь им были написаны первые стихотворные строки. В празднике принимают участие мастера художественного слова нашей страны. На заключительном вечере объявляются лауреаты премии имени Маяковского.

Премии Совета Министров Грузинской ССР имени Маяковского, утвержденные в 1980 году, предназначены для молодых поэтов (до 35 лет). Они присуждаются за произведения или цикл произведений, продолжающих поэтическую традицию Маяковского, исполненных гражданского пафоса, пронизанных высокими социальными и нравственными идеалами.

Из двух учрежденных ежегодных премий одна присуждается грузинскому поэту, другая — представителю братских республик.

## შრომის დღესასწაული

9 ივლისი, კვირა.

მესტიის რ-ნი, სოფ. ეცერი.
ტარდება 1979 წლიდან.

მესტია საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონია. მისი მეურნეობის მთავარი, წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. ბუნებრივია, მშრომელთა უპირველესი საზრუნავი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაა. ეს კი პირდაპირ დაკავშირებულია ბუნებრივი სათიბების მოვლასა და დროულ გათიბვასთან. თიბვის სეზონი მესტიის რაიონის სოფლებში ივლისის შუა რიცხვებიდან შედის ძალაში. იგი საერთო ზეიმით იწყება. ამ დღეს ჩვეულებრივთან შედარებით ბევრი სტუმარი ჰყავს „კლდის ვეფხვად“ წოდებულ მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმსაც.

## ПРАЗДНИК ТРУДА

9 ИЮЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Местийский район, с. Эцери.
Проводится с 1979 года.

Местиа — один из высокогорных районов Грузии. Ведущая отрасль его экономики — животноводство. Естественно, что первейшей заботой трудящихся является создание прочной кормовой базы.

Сезон сенокоса в селах Местийского района набирает силу с середины июля. А начинает его общий праздник.

В этот день больше обычного посетителей в музее Миши Хергиани, которого называли «Тигром скал».

## მეცხვარის დღე

9 ივლისი, კვირა.

დუშეთის რ-ნი, სოფ. ციცწყარო.
ტარდება 1954 წლიდან.

დუშეთის რაიონში სახალხო მეურნეობიდან წამყვანი დარგია მეცხოველეობა. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ სახალხო დღესასწაული სწორედ მეცხვარეებს მიუძღვნეს და უკავშირებენ ზამთრის საძოვრებიდან ცხვარ-მეცხვარის შინ დაბრუნებას.

## ДЕНЬ ОВЦЕВОДА

9 ИЮЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Душетский район, с. Цивцкаро.
Проводится с 1954 года.

Ведущей отраслью народного хозяйства Душетского района является животноводство. Не случайно именно овцеводам посвящен народный праздник, приуроченный ко времени возвращения чабанов с зимних пастбищ.

## ტერიანის დღე

### 15 ივლისი, შაბათი

ბოგდანოვკის რ-ნი, სოფ. განძანი.
ტარდება 1976 წლიდან

მრავალეროვანი საქართველო ოდითგანვე ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა მხატვრული ნიჭით მომადლებულ ყველა ადამიანს, განამტკიცებდა რუსი, ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და სხვა ხალხების მეგობრობას. საქართველოდან გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე არაერთი რუსი თუ სომეხი, აზერბაიჯანელი თუ ოსი, აფხაზი თუ ქურთი მხატვრული სიტყვის ოსტატი. მათ შორისაა სომხური პოეზიის კლასიკოსი და საზოგადო მოღვაწე ვაჰან ტერიანიც (1885—1920).

ვაჰან ტერიანი დაიბადა ბოგდანოვკის რაიონის სოფ. განძანში. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ცხრაასიან წლებში. მისი ლექსების კრებულთა („მწუხრის ოცნებანი“, „ნაირის ქვეყანა“, „შენ გიმღერი“ და სხვ.) მთავარი თემაა ქართველი და სომეხი ხალხების ურღვევი, დროით შემოწმებული და გამობრძმედილი მეგობრობა და მშვიდობიანი შრომა. პოეზიის თაყვანისმცემლები სოფ. განძანში ყოველწლიურ ტრადიციულ სახალხო ზეიმზე იკრიბებიან.

ამ დღეს აქ გაისმის სომეხი პოეტების ლექსები ქართულ ენაზე, ხოლო რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგს სომხურად კითხულობენ, რომლის თარგმანი ვაჰან ტერიანს ეკუთვნის.

## ДЕНЬ ТЕРЬЯНА

### 15 ИЮЛЯ, СУББОТА.

Богдановский район,
с. Гандзани.
Проводится с 1976 года.

Многонациональная Грузия издревле вдохновляла и создавала благодатную почву для людей, наделенных художественным талантом, способствовала развитию и укреплению дружеских взаимоотношений русского, грузинского, азербайджанского, армянского и других народов. Из Грузии вышли на международное поприще многие русские и армянские, азербайджанские и осетинские, абхазские и курдские мастера художественного слова. Среди них— классик армянской поэзии, общественный деятель Ваган Терьян (1885—1920).

Ваган Терьян родился в селе Гандзани Богдановского района. На литературное поприще вышел в 900-е годы. Главная тема его стихотворных сборников («Мечты грустящего», «Страна Наири», «Пою тебя» и др.) — нерушимая, проверенная и закаленная временем дружба грузинского и армянского народов, мирный труд всех народов. Каждая строка этих стихотворений пронизана мечтой о равенстве людей, светлом будущем трудового народа.

Поклонники поэзии ежегодно собираются в селе Гандзани на традиционный народный праздник.

В этот день здесь звучат стихотворения армянских поэтов на грузинском языке, а пролог «Витязя в тигровой шкуре» Ш. Руставели, перевод которого принадлежит Вагану Терьяну,— на армянском.

## შრომის დღესასწაული

16 ივლისი, კვირა.

**ლენტეხი**
ტარდება 1983 წლიდან.

ლენტეხის რაიონი მთიანია, იცის ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია სახორცე-სარძევე მიმართულების მეცხოველეობა, რაიონში 5 მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაა. მეცხოველეთა შრომით წარმატებებს ლენტეხელები ტრადიციულ ზეიმს უძღვნიან...

## თუშეთობა

16 ივლისი, კვირა.

ახმეტის რ-ნი, სოფ. ომალო.
ტარდება 1981 წლიდან.

ეძღვნება თუშეთის მიტოვებული სოფლების აღორძინებას.

ჯერ კიდევ სამი-ოთხი ათეული წლის წინ თუშეთის მაღალმთიანი სოფლები ომალო და შენაქო, დიკლო და ვესტმო, ილურთა და დოჭუ, ბოჭორნა და ხახაბო და კიდევ სხვა სოფლები განთქმული იყო ცხვარ-ძროხით, თუშური მატყლითა და ყველით, ქედმოუხრელი ამაყი ჭაბუკებითა და ქალიშვილებით.

მაგრამ გამოხდა ხანი, ხალხმა ბარს მიაშურა. სოფლები დაიცალა, გაპარტახდა, ეზოებს შამბი მოედო.

და კვლავ გამოხდა ხანი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ განხორციელე-

## ПРАЗДНИК ТРУДА

16 ИЮЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Лентехи.**
Проводится с 1983 года.

Лентехский район — горный. Здесь холодная зима и прохладное лето. Основная отрасль сельского хозяйства — животноводство молочного направления. В районе 5 животноводческих совхозов. Трудовым успехам животноводов лентехцы посвящают традиционный праздник...

## «ТУШЕТОБА»

16 ИЮЛЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Ахметский район, с. **Омало.**
Проводится с 1981 года.

Посвящен возрождению брошенных сел Тушети. Еще 3—4 десятка лет назад высокогорные села Тушети — Омало и Шенако, Дикло и Вестмо, Илурта и Дочу, Бочорна и Хахабо и другие — славились своими овцами и крупным рогатым скотом, шерстью и знаменитым тушинским сыром.

Шли годы, люди уходили вниз — в города. Опустела Тушети. Тушинцы, оставив бурки и посохи, заколотив дома, спускались в долину.

Но вот настало время, когда в результате мер, осуществленных Центральным Комитетом Компартии Грузии и правительством республики, брошенные села, в том числе и тушинские, начали возрож-

ბული ღონისძიებების შედეგად მიტოვებული სოფლები (მათ შორის თუშეთისა) იწყებენ აღორძინებას. მთას უბრუნდება მთიელი. ახმეტიდან ომალომდე გაიყვანეს სამანქანო გზატკეცილი, აიგო ორი მესაქონლეობის ფერმა, ომალო-შენაქოს ბაგირგზა, მწყობრში ჩადგა თორმეტკილომეტრიანი საავტომობილო გზის მონაკვეთი გომეწრის ხეობაში, ამოქმედდა ხიდი თუშეთის ალაზანზე, მუშაობას შეუდგა სკოლა-ინტერნატი. აიგო და დამონტაჟდა ტელევიზიის სარეტრანსლაციო ხაზი, შეიქმნა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, კვლავ აირჩიეს სასოფლო საბჭოს დეპუტატები და მისი აღმასკომი. სოფლებს ყოველწლიურად ათობით ახალი ოჯახი უბრუნდება და ყოველწლიურად ივლისში მთელი თუშეთი ზეიმობს აღორძინებას. დიპლომებსა და სამახსოვრო მედლებს გადასცემენ თუშეთის საპატიო მოქალაქეებს, ვისაც განსაკუთრებით დიდი წვლილი შეაქვს მის აღორძინებაში. აქვე იმართება ტრადიციული მეცხვარედ კურთხევა. ჭაბუკებს, რომლებმაც გადაწყვიტეს მეცხვარეები გახდნენ, თუშეთის წარჩინებული ადამიანები ნაბდებსა და კომბლებს გადასცემენ, წარმატებებს უსურვებენ ამ ძნელ შრომაში.

## უკვდავება

29 ივლისი, შაბათი.

ხაშურის რ-ნი, სოფ. ალი.
ტარდება 1976 წლიდან.

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირულად დაცემულ მებრძოლთა დღე. ეძღვნება

даться, горцы стали возвращаться в свои дома. От Ахмета до Омало было проложено автомобильное шоссе, сооружены две животноводческие фермы, канатная дорога Омало—Шенако, вступил в строй 12-километровый отрезок автомобильной дороги в Гомецарском ущелье, ожил мост через тушетскую Алазани, начала работать школа-интернат, построена и смонтирована телевизионная ретрансляционная линия, создан овцеводческий совхоз, вновь избрали депутатов в сельский Совет и его исполком. Сюда каждый год возвращаются десятки новых семей. И каждый год в июле празднует вся Тушети свое возрождение, возродив тем самым старинный обычай. На празднике почетным гражданам Тушети, тем, кто вносит особенно значительный вклад в возрождение края, вручаются дипломы и памятные медали. Здесь же производится традиционное посвящение в чабаны. Юношам, решившим стать овцеводами, знатные люди Тушети вручают бурки и посохи, желают успехов в нелегком чабанском труде.

## «БЕССМЕРТИЕ»

29 ИЮЛЯ, СУББОТА.

Хашурский район, с. Али.
Проводится с 1976 года.

День воинов, геройски павших в боях за свободу и независимость Родины, посвящен Герою Советского

დიდ სამამულო ომში დაღუპულ საბჭოთა კავშირის გმირს გიორგი პაპუაშვილს (1913—1944). დაიბადა იგი ხაშურის რაიონის ალის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ დუმაცხოში. აქვე სწავლობდა. აქვე დავაჟკაცდა და თანასოფლელთა გვერდით მუშაობდა. აქედან წავიდა დიდი სამამულო ომის ფრონტზე და აღარ დაბრუნებულა, დაიღუპა უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. თანასოფლელებმა სოფლის ცენტრში ძეგლი აუგეს და ყოველწლიურად ივლისის ბოლო შაბათს მისი მოგონების დღე სახალხო დღესასწაულად აქციეს, სადაც გულთბილად იგონებენ, უძღვნიან ლექსებს, მართავენ სპორტულ შეჯიბრებებს გმირის სახელობის პრიზზე.

Союза Папуашвили Георгию (1913—1944).

Георгий Папуашвили родился в селе Думацхо Алийского сельсовета Хашурского района. Отсюда он ушел на фронт и погиб в боях за освобождение Венгрии. Односельчане воздвигли ему памятник в центре села и ежегодно в последнюю субботу июля отмечают традиционным праздником день памяти героев. Они тепло вспоминают своего земляка, посвящают ему стихи, проводят спортивные соревнования на приз имени Георгия Папуашвили.

## აგვისტო

### შუამთობა

6 აგვისტო, კვირა.

**ხულო.**
ტარდება 1977 წლიდან.

შუამთობა უძველესი ქართული დღესასწაულია და მთის სამუშაოთა სეზონის შუა პერიოდს ნიშნავს. გაზაფხულზე მეცხოველეები პირუტყვს მთაში მიერეკებიან და იქ რჩებიან, ვიდრე სიცივეები დაიწყება. ბარში მყოფნი, როცა ვენახებში, თამბაქოს პლანტაციებში, სიმინდის ყანებში მუშაობას ძირითადად მორჩებიან (ეს პერიოდი კი აგვისტოს პირველი დღეებია), ორი-სამი დღით მთაში მიდიან დასასვენებლად და

## АВГУСТ

### «ШУАМТОБА»

6 АВГУСТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Хуло.**
Проводится с 1977 года.

«Шуамтоба» имеет древнюю историю. Само слово «шуамтоба» означает период межсезонья в горах. Весной чабаны отгоняют скот в горы и остаются там до наступления холодов. Остающиеся в долине после завершения основных работ на виноградниках, табачных плантациях, кукурузных полях, а это бывает в первые дни августа, отправляются на 2—3 дня отдохнуть в горы, проведать находящихся там родных и близких. Эти встречи,

თავისიანების მოსანახულებლად. ეს შეხვედრები უძველესი პერიოდიდან ტრადიციად, საერთო დღესასწაულად იქცა. მას „შუამთობა“ უწოდეს.

დღესასწაულს ოდითგანვე წმინდა საერო ხასიათი ჰქონდა. ამის შესახებ მიუთითებს ერთი დეტალიც. ადრე აჭარის მთიანეთში ქალი არა თუ უცხო მამაკაცს, არამედ ოჯახის წევრსაც ვერ ეჩვენებოდა რიდეახდილი. მაგრამ ეს აკრძალვა ერთი დღით მაინც ირღვეოდა, ეს იყო შუამთობის დროს. შემდეგში შუამთობას შეერია ბევრი უცხო, მიუღებელი ჩვევა.

ახლა „შუამთობა“ მხოლოდ მთაში გასეირნება არ არის. ეს არის შრომითი პატაკი, დღესასწაულიდან დღესასწაულამდე გაწეული მუშაობის ანგარიშიც, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების „აჭარის ასსრ მაღალმთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (1978 წ.) შესრულებისათვის ბრძოლა, რომელიც მნიშვნელოვან ეტაპად იქცა მთიანი აჭარის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, შუამთობა კი მათ ტრადიციულ დღესასწაულად.

ставшие с древнейших времен традицией, сейчас получили название «Шуамтоба».

Праздник издревле носит чисто народный характер. Об этом говорит и такая деталь: в горной Аджарии женщина с непокрытым лицом не смела показаться не только постороннему мужчине, но даже членам семьи. Однако этот запрет нарушался во время «Шуамтоба», хотя впоследствии и в нем стали проявляться многие религиозные наслоения.

При этом, конечно, «Шуамтоба»— не просто прогулка в горы. Это пора трудового рапорта колхозов и совхозов, отчет о работе, проделанной в период между праздниками по выполнению постановления ЦК КП Грузии и Совета Министров республики «О мерах по дальнейшему развитию народного хозяйства высокогорных районов Аджарской АССР, повышению социально-культурного уровня и улучшению материального благосостояния населения» (1978 г.), которое стало важным этапом в развитии экономики и культуры горной Аджарии.

## გოსტიბეობა

### 6 აგვისტო, კვირა.

კასპის რ-ნი, სოფ. გოსტიბე.
ტარდება 1983 წლიდან.

არქეოლოგიურმა გათხრებმა (1948 წ.) დაადასტურეს, რომ გოსტიბე უძველესი დასახლებული პუნქტი ყოფილა, რაც ძველი წელთაღრიცხვის X—VIII სს-ით თარიღდება, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, ისე როგორც ბევრი სხვა სოფელი, გოსტიბეც დაცარიელდა. ზეიმი, რომელიც აქ ბოლო წლებში იმართება, აღდგენისა და განახლების დღესასწაულად იქცა.

მთას. მშობლიურ კერას უბრუნდება მთიელი, რომელმაც ამ სამი-ოთხი ათეული წლის წინ მიატოვა მამა-პაპათა სავანე. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიტოვებული სოფლები იწყებენ აღორძინებას. ოდესღაც აყვავებულ, შემდეგ გაუკაცრიელებულ, შამბნარით დაფარულ ნასოფლარებზე ხელახლა მკვიდრდება ოჯახები, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხესა და მის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდნენ. საქართველოს რუკაზე კვლავ გაჩნდა სოფლები: გუდანი, შატილი, სამთაწყარო, უდაბნო. აღდგა მეცხვარეთა, მეცხოველეთა, მებაღეთა, მევენახეთა კერები. მიწა კვლავ გამოუჩნდა მზრუნველი ბატონ-პატრონი.

აღორძინებული სოფლები ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ტრადიციული ზეიმით აღნიშნავენ. ამ სოფლებს შორისაა [illegible]იბეც.

## «ГОСТИБЕОБА»

### 6 АВГУСТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Каспский район, с. Гостибе.
Проводится с 1983 года.

Археологические раскопки (1948 г.) подтвердили, что Гостибе был древнейшим населенным пунктом, относящимся к X—VIII вв. старого летосчисления. Однако в последний период, как и многие другие села, опустело село Гостибе. Праздник, который проводится здесь в последние годы, стал праздником возрождения, обновления.

Горец, который 3—4 десятка лет назад покинул обитель отцов и дедов, возвращается к родному очагу. В результате целенаправленных мероприятий, осуществленных Центральным Комитетом Компартии Грузии и Советом Министров Грузинской ССР, брошенные села начинают возрождаться. На некогда цветущих, а затем опустевших селищах вновь появляются люди, жившие в разных уголках республики и за ее пределами. На экономической карте Грузии вновь появились Гудани, Шатили, Самтацкаро, Удабно, т. к. восстановлены прежние очаги животноводства, садоводства, виноградарства. У этой земли есть заботливый хозяин.

Начало этого важного этапа в своей жизни возрожденные села отмечают традиционным праздником. Среди них — и село Гостибе Каспского района.

## მეცხოველის დღე

12 აგვისტო, შაბათი

თიანეთის რ-ნი, ლაშარის გორა.
ტარდება 1980 წლიდან.

თიანეთი სოფლის მეურნეობის რაიონია. მაპროფილებელი დარგებია მსხვილი რქოსანი საქონლის მოშენება, მეცხვარეობა, მეღორეობა და მეფრინველეობა.

მშრომლები სახალხო დღესასწაულს, რომელსაც მოწინავე მეცხოველეებს უძღვნიან, ახალი გამარჯვებებით ეგებებიან. წარმატებები კი მეტ სიხალისეს მატებს ზეიმს. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მეურნეობებს, მეცხვარეებს, მწველავებს, ფერმის მუშებს გადასცემენ გარდამავალ დროშებს, ფასიან საჩუქრებს. ახალგაზრდებს, რომლებმაც უნდა განაგრძონ უფროსების ესტაფეტა მეცხოველეობაში, გზას ულოცავენ მოწინავე ადამიანები.

## ДЕНЬ ЖИВОТНОВОДА

12 АВГУСТА, СУББОТА.

Тианетский район,
Лашарис гора.
Проводится с 1980 года.

Тианети — центр сельскохозяйственного района. Профилирующими отраслями являются разведение крупного рогатого скота, овцеводство, свиноводство и птицеводство.

Трудящиеся встречают праздник, посвященный передовым животноводам, новыми трудовыми успехами. А успехи придают больше радости празднику. Хозяйствам — победителям в социалистическом соревновании, передовым овцеводам, дояркам, рабочим ферм здесь вручаются переходящие знамена, ценные подарки. Молодежь, решившую продолжить эстафету старших в животноводстве, напутствуют передовые люди района.

## დიდგორობა

12 აგვისტო, შაბათი.

თეთრი წყარო,
დიდგორის ველი.
ტარდება 1983 წლიდან.

თბილისის მახლობლად, დიდგორის ველზე 1121 წელს გაიმართა ბრძოლა, რომელიც ისტორიაში დიდგორის ბრძოლითაა ცნობილი. დავით აღმაშენებლის სარდლობით საქართველოს მნიშვნე-

## «ДИДГОРОБА»

12 АВГУСТА, СУББОТА.

Тетрицкаро, Дидгорское поле.
Проводится с 1983 года.

На Дидгорском поле, неподалеку от Тбилиси, в 1121 году состоялась битва, известная в истории как Дидгорская. Грузинское войско во главе с Давидом Строителем, значи-

ლოვნად მცირერიცხოვანმა ჯარმა სასტიკად გაანადგურა თურქ-სელჯუკთა 300 ათასიანი კოალიციური ჯარი, ბოლო მოუღო მათ ბატონობას საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში.

დიდგორის გმირთა პატივსაცემად ისტორიული ბრძოლის ადგილზე თეთრი წყაროსა და მცხეთის რაიონების მშრომელები ყოველწლიურად მართავენ სახალხო დღესასწაულს, რომელიც ადიდებს პატრიოტიზმს, გმირობას, განმათავისუფლებელი ბრძოლების ჰეროიკას.

## ვაჟაობა

13 აგვისტო, კვირა.

დუშეთის რ-ნი, ფშავის ხეობა
სოფ. ჩარგალი.
ტარდება 1961 წლიდან.

პოეზიის დღესასწაული. ეძღვნება დიდ ქართველ პოეტსა და მწერალს ვაჟა-ფშაველას (1861—1915).

ვაჟა-ფშაველა დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში დაიბადა. აქ გაატარა მთელი თავისი ცხოვრება. აქ იწერებოდა მისი განუმეორებელი პოეტური სტრიქონები სამშობლოზე. კაცთმოყვარეობაზე, რომელმაც საერთო, საკაცობრიო აღიარება მოიპოვა, სწორედ აქ სოფელ ჩარგალში, რომელიც ფშავის არაგვის ცადაზიდულ მთებს შეჰფენია, იმართება ყოველწლიური სახალხო დღესასწაული ვაჟაობა. დღესასწაულზე ისმენენ ვაჟას ლექსებს, ფშაურ კაფიებს, საგმირო სიმღერებს, ძველ ქარ-

тельно уступая противнику по численности, разгромило 300-тысячное коалиционное полчище, положив конец господству турок-сельджуков в Грузии и соседних с нею странах.

В честь героев Дидгори трудящиеся Мцхетского и Тетрицкаройского районов ежегодно проводят на месте исторической битвы народный праздник, славящий патриотизм, мужество, героику освободительных войн.

## «ВАЖАОБА»

13 АВГУСТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Душетский район, Пшавское
ущелье, с. Чаргали.
Проводится с 1961 года.

Праздник поэзии. Посвящен крупнейшему грузинскому поэту и писателю Важа-Пшавела (1861—1915).

Важа-Пшавела родился в селе Чаргали Душетского района. Здесь он провел всю свою жизнь. Здесь создавались неповторимые поэтические строки о Родине, верности в дружбе, любви к родному краю. А его родное село Чаргали, раскинувшееся в ущелье пшавской Арагви, стало центром ежегодного народного праздника поэзии — «Важаоба». Собравшиеся на праздник слушают стихи Важа, пшавские песни, старинные грузинские песнопения, современные песни и стихи советских поэтов, любуются изделиями мест-

თულ საგალობლებს, ახალ, თანამედროვე სიმღერებსა და საბჭოთა პოეტების ლექსებს. იმართება სპორტული შეჯიბრებები.

## თრიალეთობა

13 აგვისტო, კვირა.

**წალკა.**
ტარდება 1979 წლიდან.

თრიალეთის მხარე ისტორიულად ქვემო ქართლში მოიცავდა ახლანდელი წალკისა და დმანისის ტერიტორიას. აქ დასახლება უძველესი დროიდან თარიღდება (ძვ. წელთაღრიცხვით III ს.). XI ს. დასასრულიდან ცენტრი წალკა იყო. მონღოლთა ბატონობიდან მოყოლებული (XIII ს.) თრიალეთი თანდათან იცლებოდა მოსახლეობისაგან. ეს პროცესი გაგრძელდა თემურ ლენგის შემოსევების დროსაც (XIV — XV სს.). XVIII ს. აქ გაჩნდნენ ჯავახეთიდან, შიდა ქართლიდან, კახეთიდან გადმოსული ახალმოსახლენი, XIX ს. შუა წლებში კი თურქეთიდან დევნილი სომხური და ბერძნული მოსახლეობა.

დღესასწაული იწყება რაიონის ცენტრში, წალკაში, სადაც ირჩევენ საპატიო მოქალაქეებს. შემდეგ იმართება დიდი თეატრალიზებული წარმოდგენა, სახალხო სეირნობა, სპორტული შეჯიბრებები. ზეიმში მონაწილეობენ მხატვრული კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებლები, სახალხო მთქმელები.

ных народных умельцев, наблюдают за спортивными соревнованиями, сами активно участвуют во всех мероприятиях.

## «ТРИАЛЕТОБА»

13 АВГУСТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Цалка.**
Проводится с 1979 года.

Триалети, край в исторической Квемо Картли, включал в себя территорию нынешних Цалки и Дманиси. Заселение края датируется с древнейших времен (III в. старого летосчисления). С конца XI в. его центром была Цалка. Начиная с господства монголов (XIII в.) Триалети постепенно покидало население. Этот процесс продолжается и во время нашествия Тамерлана (XIV—XV вв.). В XVIII в. здесь появились переселенцы из Джавахети, внутренней Картли и Кахети, а с середины XIX в. — гонимые из Турции армяне и греки.

Праздник начинается в районном центре Цалка, где избираются почетные граждане района. Затем дается большое театрализованное представление, проводится народное гулянье, спортивные состязания. В празднике участвуют художественные коллективы, отдельные исполнители, народные сказители.

## სამასარაგველობა

27 აგვისტო, კვირა.

**თელავის რ-ნი, სოფ. თეთრი წყლები.
ტარდება 1978 წლიდან.**

თელავის რაიონის სოფელ თეთრი წყლების მცხოვრებნი (არაგვის ხეობიდან ჩამოსახლებულნი) ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ კრწანისის ბრძოლაში (1795 წ.) გმირულად დაღუპულ სამას არაგველთა შთამომავლები არიან. ისინი წმინდად ინახავენ წინაპართა ხსოვნას, რასაც განამტკიცებენ ტრადიციული და თანამედროვე წეს-ჩვეულებებით. სოფლის უხუცესთა რჩევით, მათი წინადადებითა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით სოფელმა დააწესა ახალი საბჭოური დღესასწაული, სადაც იწვევენ თავიანთ ნათესავებსა და ახლობლებს. ამ დღესასწაულს „სამასარაგველობა“ უწოდეს, რითაც ნათლად გამოხატეს წინაპართა ღრმა პატივისცემა, მათი გმირული, პატრიოტული ტრადიციებისადმი ერთგულება.

## ПРАЗДНИК 300 АРАГВИНЦЕВ

27 АВГУСТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Телавский район, с. Тетрицклеби.
Проводится с 1978 года.**

Жители села Тетрицклеби Телавского района, переселенцы из ущелья Арагви, являются потомками 300 арагвинцев, геройски павших в Крцанисской битве (1795 г.). Свято хранят они память о предках, укрепляя ее традиционными и современными обрядами. По совету старейшин села и при поддержке общественных организаций учрежден новый советский праздник, на который жители села приглашают своих родных и близких. Праздник свидетельствует о глубоком уважении к предкам, верности их героическим, патриотическим традициям.

## ახალგაზრდობის ზეიმი

27 აგვისტო, კვირა.

**გურჯაანის რ-ნი, სოფ. ჩუმლაყი.
ტარდება 1980 წლიდან.**

ჩუმლაყი დიდი და მძლავრი მევენახეობის სოფელია გურჯაანის რაიონში. აქ შრომისმოყვარე და გულღია

## ПРАЗДНИК МОЛОДЕЖИ

27 АВГУСТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Гурджаанский район,
с. Чумлаки.
Проводится с 1980 года.**

Чумлаки — большое село в Гурджаанском районе, известное своими виноградниками. Живут здесь тру-

ხალხი ცხოვრობს, ამავე სულისკვეთებით იზრდებიან ახალგაზრდებიც. ამას ნათლად ადასტურებს მათი შრომითი საქმიანობა. სოფლის უფროსი თაობაც ყოველწლიურად აგვისტოში ზეიმს უმართავს თავის მემკვიდრეებს— ახალგაზრდა მევენახეებს.

## საფარობა

### 27 აგვისტო, კვირა.

**ახალციხე.**
ტარდება 1980 წლიდან.

საფარა, ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, ქართულ ეკლესია-მონასტრებს შორის სიძველითა და სილამაზით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. მის კომპლექსში X — XIV სს. თორმეტამდე საკულტო ნაგებობა შედის. ახალციხიდან 10 კილომეტრითაა დაშორებული, აგებულია მოფარებულ ადგილზე, დაფარულია ხშირი ტყითა და ზუსტად ამართლებს თავის სახელწოდებას — საფარას.

ახალციხის მშრომელები თავიანთი შრომისა და დასვენების ტრადიციულ დღესასწაულზე სწორედ ამ მშვენიერ ადგილზე იკრიბებიან, გულთბილად საუბრობენ, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ფიქრებს, ოცნებებს, გეგმებს. აქვე იმართება დიდი თეატრალიზებული წარმოდგენა „აქედან იწყება საქართველო“. შთამბეჭდავია ახალდაქორწინებულთა რიტუალი, რომლებსაც საპატიო მოქალაქეები ლოცავენ.

долюбивые и радушные люди, большие патриоты своего дела. В таком духе воспитывается и молодое поколение. Об этом свидетельствует его трудовая деятельность. И старшее поколение сельчан ежегодно в августе устраивает праздник в честь своих преемников — молодых виноградарей.

## «САПАРОБА»

### 27 АВГУСТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Ахалцихе.**
**Проводится с 1980 года.**

Сапара — культурно-просветительский центр древней Грузии, один из старейших и красивейших памятников грузинской церковной архитектуры. В комплекс входит около 12 памятников материальной культуры X—XIV вв.

Сапара находится в 10-ти километрах от Ахалцихе и располагается в укромном месте, скрытом в густом лесу, как бы оправдывая свое название «сапари»—«покров». Здесь и собираются трудящиеся Ахалцихе на свой традиционный праздник труда и отдыха, делятся своими мыслями, мечтами, планами. Здесь же проводится большое театрализованное представление «Отсюда начинается Грузия». Впечатляет ритуал поздравления новобрачных почетными гражданами района, родными и близкими.

## გრემქალაქობა

### 27 აგვისტო. კვირა.

ყვარლის რ-ნი, სოფ. გრემი.
ტარდება 1980 წლიდან.

გრემი მდებარეობს მდინარე ალაზნის ველზე.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, იგი გვიანდელი ბრინჯაოს ხანაში უნდა გაჩენილიყო. ფეოდალურ ეპოქაში კახეთის ერთ-ერთ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, 1466 წელს კი კახეთის სამეფოს დედაქალაქი გახდა. გრემზე გადიოდა მნიშვნელოვანი საქარავნო გზები, აქვე ეწეოდნენ დიდ საგანმანათლებლო მოღვაწეობას, ამრავლებდნენ უძველეს ხელნაწერებს.

გრემი დიდმნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია. ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს გრემის, როგორც უძველესი ქალაქის არსებობა. ქალაქს 50 ჰექტარი ეკავა, ამშვენებდა სასახლეები, სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობა, შადრევნები, სასტუმრო, აბანო, სავაჭრო დუქნები, სამეურნეო და სასმელი წყლის არხები.

თანამედროვე გრემში არის სასოფლო საბჭოს ცენტრი, მევენახეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა, სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი კინო-დანადგარით, ორი ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, კავ-

## «ГРЕМКАЛАКОБА»

### 27 АВГУСТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Кварельский район,
с. Греми.
Проводится с 1980 года.

Греми расположено в долине реки Алазани.

Как предполагают ученые, первые поселения на территории Греми появились в позднебронзовую эпоху. В феодальную эпоху он являлся одним из торгово-экономических и культурных центров Кахетии, а в 1466 году стал столицей Кахетинского царства. Через Греми проходили караванные пути, здесь велась большая просветительская работа, размножались древние рукописи.

Греми является значительным архитектурным памятником. Археологические раскопки городища дали новые доказательства древней истории города. Он занимал площадь в 50 гектаров, на которой располагались дворцы, различные хозяйственные сооружения, фонтаны, гостиный двор, банк, торговые лавки, каналы с хозяйственной и питьевой водой.

Современный Греми — центр сельского Совета. Здесь находится крупный виноградарский совхоз, школа, детский сад, клуб с киноустановкой, две библиотеки, больница, отделение связи. Всемирной славой поль-

შირგაბმულობის განყოფილება. საქვეყნოდაა ცნობილი კონიაკი „გრემი". შრომისმოყვარე გრემელები ყოველწლიურ სახალხო დღესასწაულს თავიანთი სოფლის დიდ ისტორიულ წარსულსა და სახელოვან აწმყოს უძღვნიან.

### მწყემსის დღე

27 აგვისტო, კვირა.

ყაზბეგი.
ტარდება 1978 წლიდან.

ტრადიციადქცეულ მეცხვარეთა დღესასწაულზე აჯამებენ ზეიმიდან ზეიმამდე გაწეული შრომის შედეგებს. გამარჯვებულებს გადასცემენ სიგელებსა და ფასიან საჩუქრებს, იმართება მეცხვარეთა რიგებში ახალგაზრდების მიღების ცერემონიალი. ზეიმს თან ახლავს სპორტული შეჯიბრებები, დოღი, მხატვრული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების გამოსვლები.

## სექტემბერი

### იაკობობა

3 სექტემბერი, კვირა.

გორის რ-ნი, სოფ. ვარიანი.
ტარდება 1959 წლიდან.

ეძღვნება ცნობილ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს იაკობ გოგებაშვილს (1840—1912).

зуется коньяк «Греми». Ежегодный народный праздник трудолюбивые гремцы посвящают богатому историческому прошлому и славному настоящему своего села.

### ДЕНЬ ЧАБАНА

27 АВГУСТА, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Казбеги.
Проводится с 1978 года.

На традиционном празднике животноводов подводятся трудовые итоги за год. Победителям соцсоревнования вручают грамоты и ценные подарки. Здесь же проводится церемониал посвящения молодежи в чабаны. Праздник сопровождается спортивными состязаниями, скачками, выступлениями художественных коллективов и отдельных исполнителей.

## СЕНТЯБРЬ

### «ЯКОБОБА»

3 СЕНТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Горийский район, с. Вариани.
Проводится с 1959 года.

Этот день посвящен памяти выдающегося грузинского педагога и общественного деятеля Якова Гогебашвили (1840—1912).

იაკობ გოგებაშვილი იყო საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, დიდი პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის დაუღალავი მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი. იგი ავტორია სახელმძღვანელოებისა — „ბუნების კარი", „დედა ენა", „რუსსკოე სლოვო" და სხვ., რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარება-დამკვიდრებაში და რომელთა პრინციპებზე შედგენილია ქართული სკოლების დაწყებით კლასებში ამჟამად მოქმედი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები.

Яков Гогебашвили — основоположник научной педагогики в Грузии, известный публицист, детский писатель, активный участник народно-освободительного движения, неутомимый борец за создание народных школ, один из основателей «Общества распространения грамотности среди грузин». Он автор учебников «Бунебис кари» («Врата природы»), «Дэда эна» («Родная речь»), «Русское слово» и др., сыгравших огромную роль в становлении системы просвещения в Грузии. Принципы методики Гогебашвили сохранили свою актуальность и сегодня. Они легли в основу учебников грузинского и русского языков для начальных классов грузинских школ.

## ვეტერანთა ზეიმი

9 სექტემბერი, შაბათი.

**სოხუმის რ-ნი, სოფ. ფსხუ.**
**ტარდება 1973 წლიდან.**

ყოველწლიურად, 9 სექტემბერს სოხუმის რაიონის მაღალმთიან სოფელ ფსხუში აღინიშნება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან სოფლის განთავისუფლების დღე (1943 წ. 9 სექტემბერი).

ამ დღეს სოფელ ფსხუში თავს იყრიან დიდი სამამულო ომის ვეტერანები — ფსხუსა და სანჭაროს უღელტეხილის ბრძოლების მონაწილენი, ჟურნალისტები, მწერლები, პოეტები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფ-

## ПРАЗДНИК ВЕТЕРАНОВ

9 СЕНТЯБРЯ, СУББОТА.

**Сухумский район, с. Псху.**
**Проводится с 1973 года.**

Ежегодно 9 сентября в высокогорном селе Псху Сухумского района отмечается день освобождения села от немецко-фашистских захватчиков (9 сентября 1943 года).

В этот день в Псху собираются ветераны Великой Отечественной войны, участники боев на перевалах Псху и Санчаро, писатели, поэты, журналисты, представители партийных, советских, комсомольских, профсоюзных и других орга-

კავშირული და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის რიგებში გასაწვევი ახალგაზრდები. რათა საზეიმოდ აღნიშნონ ეს მნიშვნელოვანი თარიღი.

დღესასწაული ტრადიციული გახდა. იგი დიდ როლს ასრულებს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში.

## გურამიშვილობა

16 სექტემბერი, შაბათი.

კასპის რ-ნი, სოფ. ლამისყანა.
ტარდება 1976 წლიდან.

პოეზიის დღესასწაული. ეძღვნება გამოჩენილ ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს (1705—1792), რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება რუსი, ქართველი და უკრაინელი ხალხების ცხოვრებას.

დავით გურამიშვილის ცხოვრება რთული იყო. ოცი წლის ჭაბუკი დაატყვევეს. ტყვეობიდან გაქცეულმა თავი შეაფარა თერგის პირას მცხოვრებ რუს ახალმოსახლეებს. იქიდან, ასტრახანზე გავლით, მოსკოვს ჩავიდა, სადაც ქართლის მეფე ვახტანგ VI ამალას შეუერთდა. მალე, სხვა ქართველებთან ერთად, რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, შევიდა ჰუსართა პოლკში. რუსეთისადმი ერთგულებითა და სიმამაცით თავი ისახელა ოსმალეთის, შვეციისა და პრუსიის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობებში. 1760 წელს თავი დაანება სამხედრო სამსახურს და დასახლდა მირგოროდში (უკრაინა), სადაც აქტიურად

низаций, молодежь, готовящаяся к призыву в ряды Советской Армии.

Праздник стал традиционным. Он играет большую роль в военно-патриотическом воспитании молодежи.

## «ГУРАМИШВИЛОБА»

16 СЕНТЯБРЯ, СУББОТА.

Каспский район, с. Ламискана.
Проводится с 1976 года.

Праздник поэзии. Посвящен выдающемуся грузинскому поэту Давиду Гурамишвили (1705—1792), жизнь и деятельность которого тесно связаны с историей взаимоотношений грузинского и украинского народов.

Жизнь Давида Гурамишвили была сложной, полной лишений, скитаний и борьбы. 20-летним юношей он был пленен и всю свою жизнь провел вдали от Родины. Бежав из плена, Гурамишвили скрывался среди живших на Тереке русских поселенцев. Отсюда через Астрахань он отправился в Москву, где присоединился к свите картлийского царя Вахтанга VI. Вскоре вместе с другими грузинами он принял русское подданство, вступил в гусарский полк. В походах против Турции, Швеции и Пруссии прославился отвагой и преданностью России. В 1760 году оставляет военную службу и поселяется в Миргороде (Украина), где активно участвует в жиз-

მონაწილეობდა უკრაინაში ქართველ ახალმოსახლეთა ცხოვრებაში. აქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია მირგოროდში.

დავით გურამიშვილის პოემა „დავითიანი“ მთლიანადაა თარგმნილი რუსულ და უკრაინულ ენებზე, ცალკეული ნაწარმოებები კი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა მთელ რიგ ენებზე. მისი პოეზიის მთავარი თემაა ადამიანი, მისი წრფელი განცდები და ზნეობრივი სისპეტაკე. გურამიშვილმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა საუკეთესო ქართველ პოეტთა გალერეაში.

**ქუჩების ზეიმი**

16 სექტემბერი, შაბათი.

**თბილისი, ლენინის რ-ნი.**
ტარდება 1981 წლიდან.

ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაული. ეძღვნება იმ პიროვნებას, ქალაქს, რაიონს, ვის სახელსაც ქუჩა ატარებს.

**ტბელობა**

16 სექტემბერი, შაბათი.

**ხულო** (სხალთის ხეობა).
ტარდება 1979 წლიდან.

აჭარის მთებს შეჰფენია სოფელი ხიხაძირი. აქ ცხოვრობდა და მუშაობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე, ასტრონომი ტბელ აბუსერისძე (და-

ни грузинского поселения на Украине. Скончался и похоронен в Миргороде.

Поэма Давида Гурамишвили «Давитиани» полностью переведена на русский и украинский языки, отдельные его произведения—на языки народов Советского Союза и зарубежных стран. Главная тема его поэзии — мир человека, его чувства и нравственные идеалы.

Д. Гурамишвили по праву вошел в плеяду лучших поэтов Грузии всех времен.

**ПРАЗДНИК УЛИЦ**

16 СЕНТЯБРЯ, СУББОТА.

**Ленинский район г. Тбилиси.**
**Проводится с 1981 года.**

Праздник интернациональной дружбы. Посвящен лицу, городу или району, чье имя носит улица.

**«ТБЕЛОБА»**

16 СЕНТЯБРЯ, СУББОТА.

**Хуло,** Схалтское ущелье.
Проводится с 1979 года.

Село Хихадзири раскинулось в горах Аджарии. Здесь 800 лет назад родился, жил и творил выдающийся грузинский писатель, мысли-

ახლოებით 1190—1240 წ.), რომელმაც შექმნა ისტორიულ-ფილოსოფიური შრომები, ვრცელი ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატები. მის თხზულებებში მოცემულია ამ მხარის ხალხთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების ამსახველი მდიდარი ისტორიული ცნობები, ახსნილია სამხრეთ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი მოვლენა.

ტბელ აბუსერისძის შთამომავლები არ ივიწყებენ თავიანთ ამაგდარ წინაპარს. შრომისა და დასვენების დღესასწაულსაც მისი სახელი უწოდეს. ტბელობა ნათლად წარმოგვიდგენს ხულოს როგორც წარსულს, ისე თანამედროვე ცხოვრებას. ზეიმის ცენტრია სოფელი ხიხაძირი. აქედან იგი გადადის სოფლებში სხალთაში, ფურტიოში, თხინვალში, სადაც ტბელ აბუსერისძის დროინდელი არაერთი ისტორიული ძეგლი და ადგილია. გვიან საღამოს მთავრდება ზეიმი სხალთის ხეობაში.

## რევოლუციის რაინდები

16 სექტემბერი, შაბათი.

**თბილისი, 26 კომისრის რ-ნი.**
**ტარდება 1980 წლიდან.**

ეძღვნება ბაქოს 26 კომისარს, რომლებიც ესერებმა და ინგლისელმა ინტერვენტებმა დახვრიტეს 1918 წლის 20 სექტემბერს.

თბილისის 26 კომისრის რაიონში შაუმიანის სახელობის მოედანზე, სადაც აღმართულია 26 კომისრის ძეგლი და მარადიული ცეცხლი გიზგიზებს, იკ-

тель, астроном Тбел Абусерисдзе (примерно 1190—1240), оставивший человечеству философско-исторические труды, научные трактаты. В них собраны важные и интересные сведения о быте и обычаях крестьян этого края, ценные данные конкретно - исторического характера, раскрыты многие события общественной жизни Южной Грузии.

Потомки Тбела Абусерисдзе не забывают своего знаменитого предка. Один из праздников труда и отдыха, названный его именем, наглядно показывает прошлое Хуло и его современную жизнь. Центром праздника является село Хихадзири. Отсюда он переходит в села Схалта, Пуртис, Тхинвали, где сохранились исторические памятники времен Тбела Абусерисдзе. Праздник завершается в Схалтском ущелье.

## «РЫЦАРИ РЕВОЛЮЦИИ»

16 СЕНТЯБРЯ, СУББОТА.

**Район им. 26-ти комиссаров г. Тбилиси.**
**Проводится с 1980 года.**

Посвящен 26-ти бакинским комиссарам, расстрелянным эсерами и английскими интервентами 20 сентября 1918 года.

На площади имени Шаумяна в районе им. 26-ти комиссаров г. Тбилиси, где воздвигнут памятник легендарным рыцарям революции и

რიბებიან რაიონის საწარმოთა მოწინავენი, შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები. ისინი ყვავილებით ამკობენ ძეგლს. იმართება მიტინგი, მოსწავლეებს იღებენ პიონერთა ორგანიზაციებში, უფროსკლასელთა შრომითი რაზმები აბარებენ პატაკს.

### პოეზიისა და ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაული

16 სექტემბერი, შაბათი.

**ხაშურის რ-ნი, დაბა სურამი.**
**ტარდება 1981 წლიდან.**

ეძღვნება გამოჩენილ უკრაინელ პოეტ ქალს ლესია უკრაინკას (1871—1913), რომელმაც ცხოვრების უკანასკნელი წლები დაბა სურამში გაატარა. პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად აქ დაიდგა მისი ბიუსტი, გაიხსნა სახლ-მუზეუმი, სადაც თავმოყრილია პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავალი საინტერესო ექსპონატი. ზეიმი ქართველი და უკრაინელი ხალხების ძმობისა და მეგობრობის სიმბოლოდ იქცა. დღესასწაულში მონაწილეობს უკრაინის მწერალთა დელეგაცია.

### შოთაობა

24 სექტემბერი, კვირა.

**ასპინძა.**
**ტარდება 1966 წლიდან.**

მესხეთის მიწა საქართველოს მუზეუმია ღია ცისქვეშ. მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი და ად-

пылает вечный огонь, собираются передовики предприятий района, представители творческой интеллигенции и молодежи, ветераны партии, войны и труда. Они возлагают цветы к памятнику. Здесь же проводится митинг, школьников принимают в пионеры, трудовые отряды старшеклассников рапортуют о своих успехах.

### ПРАЗДНИК ПОЭЗИИ И ИНТЕРНАЦИОНАЛЬНОЙ ДРУЖБЫ

16 СЕНТЯБРЯ, СУББОТА.

**Хашури, поселок Сурами.**
**Проводится с 1981 года.**

Посвящен украинской поэтессе Лесе Украинке (1871—1913), которая провела последние годы жизни в поселке Сурами. В увековечение памяти поэтессы здесь установлен ее бюст, открыт дом-музей, где собрано множество интересных экспонатов, отражающих жизнь и творчество Леси Украинки. Праздник стал символом дружбы и братства грузинского и украинского народов. В нем принимает участие делегация писателей Украины.

### «ШОТАОБА»

24 СЕНТЯБРЯ,
ВОСКРЕСНЬЕ.

**Аспиндза.**
**Проводится с 1966 года.**

Земля Месхети — это музей под открытым небом. Здесь много исторических памятников и достоприме-

გილია აქ. მათ შორისაა ასპინძის რაიონის სოფელი რუსთავი, რომელიც გადმოცემით დიდი შოთა რუსთაველის სამშობლო უნდა იყოს.

წელიწადში ერთხელ, სექტემბრის ბოლო კვირას მესხეთის მთებზე კოცონს ანთებენ. ეს გვაუწყებს პოეზიის სახალხო ზეიმის დაწყებას. იგი დიდ ქართველ პოეტსა და მოაზროვნეს შოთა რუსთველს (XII ს.) ეძღვნება. დღესასწაულის ცენტრია სოფელი რუსთავი და მისი შემოგარენი, სადაც თავს იყრიან არა მარტო ასპინძის, არამედ მეზობელი რაიონების მშრომელები და სტუმრები დედაქალაქიდან. დღესასწაულის დევიზია დიდი შოთას სიტყვები: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

## სიმღერის დღესასწაული

24 სექტემბერი, კვირა.

**შუახევი.**
**ტარდება 1976 წლიდან.**

ქართველმა ხალხმა არაერთი საკაცობრიო მნიშვნელობის მხატვრული ღირებულება შექმნა. მათ შორისაა სიმღერები, რომლებიც გამოირჩევა შესანიშნავი მელოდიურობით, ჰარმონიით, პოლიფონიურობით, რიტმით.

წარსული და თანამედროვეობა, ტრადიცია და დღევანდელობა მკაფიოდ წარმოგვიდგება სიმღერებში, რომლებიც სრულდება. დღესასწაულზე თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების, საოჯახო ანსამბლების მიერ.

მოკლე დროში სიმღერის დღესასწაულმა შუახევში დიდი პოპულარობა მოიპოვა.

чательных мест. Среди них — село Рустави Аспиндзского района, которое по преданию является родиной Шота Руставели.

Раз в год, в последнее воскресенье сентября, в горах Месхети зажигают костер, возвещающий о начале народного праздника поэзии. Он посвящен великому грузинскому поэту и мыслителю Шота Руставели (XII в.). Центром праздника является село Рустави и его окрестности, где собираются трудящиеся не только Аспиндзского, но и соседних районов, гости из столицы республики. Девиз праздника: «Кто друзей себе не ищет, самому себе тот враг».

## ПРАЗДНИК ПЕСНИ

24 СЕНТЯБРЯ,
ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Шуахеви.**
**Проводится с 1976 года.**

Грузинский народ создал множество художественных ценностей общечеловеческого значения. В том числе песни, чарующие своей мелодичностью, гармонией, полифоничностью, ритмом.

Прошлое и современность, традиция и сегодняшний день ярко предстают в песнях, которые исполняются на празднике самодеятельными художественными коллективами, семейными ансамблями. В этот день здесь поют и танцуют все.

За короткий срок праздник песни в Шуахеви завоевал большую популярность.

## გარისობა

30 სექტემბერი, შაბათი.

**თეთრი წყარო.**
**ტარდება 1981 წლიდან.**

გარისი თეთრი წყაროს ძველი სახელწოდებაა. იგი მტერმა რამდენჯერმე ააოხრა და გაანადგურა. მისი აღორძინება დაიწყო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. დღეს თეთრი წყარო დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობისა და კულტურის რაიონია. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მესაქონლეობა და მარცვლეულის წარმოება, განვითარებულია აგრეთვე მეკარტოფილეობა და მეხილეობა. რაიონში 12 კოლმეურნეობა და 5 საბჭოთა მეურნეობაა. ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 13 საშუალო სკოლა, 3 სკოლა-ინტერნატი, 2 საღამოს სკოლა, 1 ბაგა-ბაღი, 4 საბავშვო ბაღი და სხვ. აქ ძმურად, მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენ ქართველი, რუსი, აზერბაიჯანელი, ბერძენი და 20-მდე სხვა ეროვნების ხალხი. დღესასწაულიც ამ მეგობრობის მკაფიო დემონსტრირებაა. მონაწილეობენ მეზობელი რაიონების მშრომელთა დელეგაციები.

## «ГАРИСОБА»

30 СЕНТЯБРЯ,
СУББОТА.

**Тетрицкаро.**
**Проводится с 1981 года.**

Гариси — древнее название Тетрицкаро. Оно постоянно подвергалось вражеским нашествиям. Только после соединения Грузии с Россией жизнь здесь стала возрождаться. Сегодня Тетрицкаро — район развитого сельского хозяйства. Ведущими отраслями являются животноводство и производство зерна. Развиты также картофелеводство и садоводство. В районе 12 колхозов и 5 совхозов. Делу обучения молодежи служат 13 средних школ, 3 школы-интерната, 2 вечерние школы, 1 сад-ясли, 4 детских сада и др. Здесь дружно живут и трудятся русские, грузины, армяне, азербайджанцы, греки, представители около 20 других национальностей. И праздник «Гарисоба» служит яркой демонстрацией этой дружбы. В праздновании принимают участие делегации трудящихся соседних районов.

## ნიკო ნიკოლაძის დღე

30 სექტემბერი, შაბათი.

**სამტრედიის რ-ნი, სოფ. დიდი ჯიხაიში.**
**ტარდება 1976 წლიდან.**

საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ნიკო ნიკოლაძემ მთელი ეპოქა შექმნა. იგი იყო

## ДЕНЬ НИКО НИКОЛАДЗЕ

30 СЕНТЯБРЯ, СУББОТА.

**Самтредский район, с. Диди Джихаиши.**
**Проводится с 1976 года.**

С именем Нико Николадзе связана целая эпоха в общественной и культурной жизни Грузии. Он был

გამოჩენილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი, ლიტერატორი და ეკონომისტი, სოციოლოგი, იურისტი და, რაც მთავარია, თავისი სამშობლოს უანგარო პატრიოტი, რუსი და ქართველი ხალხის ძმობისა და მეგობრობის ცოცხალი განსახიერება. ნიკო ნიკოლაძე დაუღალავად ქადაგებდა ეროვნებათა შორის კავშირების, მეგობრული კონტაქტების გაფართოებას, მეცნიერების, კულტურის, განათლების მოღვაწეთა ურთიერთობას. მის მოღვაწეობას დიდად აფასებდა კარლ მარქსი.

დღემდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა იმ იდეებს, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ გადმოსცა 1868 წელს ჟენევაში გამოქვეყნებულ შრომაში „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური მნიშვნელობა“.

შთამომავლობა არ ივიწყებს ქართული კულტურის ამ გამოჩენილ მოღვაწეს. ღრმა მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად, ყოველწლიურად აღნიშნავენ ნიკო ნიკოლაძის დღეს.

выдающимся публицистом и журналистом, литератором и экономистом, социологом и юристом и, главное, истинным патриотом своей Родины, живым олицетворением братства и дружбы русского и грузинского народов. Неустанно ратовал Н. Николадзе за развитие межнациональных связей, дружеских контактов, за плодотворное взаимообщение деятелей науки, культуры, просвещения. Его деятельность высоко ценил Карл Маркс.

Пожалуй, по сей день остаются актуальными идеи, изложенные им в опубликованном в 1868 году в Женеве труде «Разоружение и его экономико-социальное значение».

Потомки чтят память этого видного деятеля грузинской культуры. В знак глубокой благодарности и уважения ежегодно отмечается день Нико Николадзе.

## ცოტნეობა

30 სექტემბერი, შაბათი

**ზუგდიდი.**
**ტარდება 1989 წლიდან.**

ცოტნე დადიანი მონღოლ დამპყრობთა წინააღმდეგ შეთქმულების (1245 წ.) აქტიური მონაწილეა. მისი გმირობა ისტორიაში შევიდა, როგორც

## «ЦОТНЭОБА»

30 СЕНТЯБРЯ, СУББОТА.

**Зугдиди.**
**Проводится с 1989 года.**

Цотнэ Дадиани—активный участник заговора против монгольских поработителей (1245 г.). Его героизм вошел в историю. Это был при-

თავდადებისა და პატრიოტიზმის უიშვიათესი მაგალითი. მისმა გამბედაობამ და მოსაზრებულობამ სასტიკი წამებით დალუპვისაგან იხსნა შეთქმულების მეთაურები.

ზუგდიდის შრომითმა კოლექტივებმა, შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, ახალგაზრდობამ, მოსახლეობამ სურვილი გამოთქვეს ქალაქ ზუგდიდში დაიდგას ცოტნე დადიანის ძეგლი, ამასთან დაწესდეს მისი სახელობის სახალხო ზეიმი.

წინადადებას მხარი დაუჭირეს ზემდგომმა ორგანიზაციებმაც. გადაწყდა ძეგლ-მემორიალის ასაგებად გამოცხადდეს ღია კონკურსი, ხოლო ზეიმი, რომელიც მიეძღვნება ქართველი ხალხის სახელოვანი ისტორიისა და კულტურის, მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს, გაიმართოს 1989 წლიდან.

мер редчайшего самопожертвования и патриотизма. Его смелость и ум спасли от гибели в жестоких муках руководителей заговора.

Трудовые коллективы, творческая интеллигенция, молодежь города Зугдиди выразили пожелание воздвигнуть памятник Цотнэ Дадиани и учредить народный праздник в его честь.

Предложение поддержали вышестоящие организации. Было решено объявить открытый конкурс на проект памятника-мемориала, а праздник, который будет посвящен славной истории и культуре грузинского народа, вопросам патриотического и интернационального воспитания трудящихся, решено проводить с 1989 года.

## ოქტომბერი

## ОКТЯБРЬ

### „ლიხნაშთა“

1 ოქტომბერი, კვირა.

გუდაუთის რ-ნი, სოფ. ლიხნი.
ტარდება 1981 წლიდან.

„ლიხნაშთა“ ფოლკლორული დღესასწაულია. ტარდება აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნის ცნობილ ისტორიულ ველზე.

დღესასწაულზე წარმოდგენილია აფხაზური სოფლისათვის დამახასი-

### «ЛЫХНАШТА»

1 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Гудаутский район, с. Лыхны.
Проводится с 1981 года.

«Лыхнашта» — фольклорный праздник. Проводится в селе Лыхны Гудаутского района Абхазской АССР, на его историческом поле.

На празднике широко представлены характерные для абхазского се-

ათებელი ტრადიციული ხალხური თამაშობები, ცეკვები, სატირული სცენები, ხალხურ მთქმელთა პაექრობანი, საცხენოსნო სპორტული შეჯიბრებები, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრები. სრულდება თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების ძველი და თანამედროვე სიმღერები.

„ლიხნაშთა“ წარსულში ღრმად გადგმულ ფესვებზე ამოზრდილი აღორძინებული სოციალისტური დღესასწაულია, რომელმაც ახალი მნიშვნელობა შეიძინა.

ла традиционные народные игры, танцы, сатирические сценки, состязания сказителей, конно-спортивные соревнования, работы мастеров прикладного искусства. В этот день абхазские и грузинские поэты выступают со своими новыми стихами, звучат старинные и современные песни в исполнении самодеятельных художественных коллективов.

«Лыхнашта» — новый, социалистический праздник, яркий пример возрождения традиционных форм народных празднеств, получивших новое содержание.

## ფაზისობა

1 ოქტომბერი, კვირა.
**ფოთი.**
ტარდება 1977 წლიდან.

ფაზისი დღევანდელი ფოთის ძველი სახელია. კოლხეთის ამ უძველეს ქალაქს ურთიერთობა ჰქონდა ანტიკურ ქვეყნებთან. ფაზისის აკადემიაში არაერთ გამოჩენილ ადამიანს მიუღია უმაღლესი განათლება. აქვე დაიბადა ლეგენდა ოქროს საწმისზე, თქმულება აიეტისა და მედეას შესახებ.

კონტრასტულია ჩვენი საუკუნის ფოთის ისტორია: რევოლუციამდე აქ იყო ბედისაგან დაჩაგრული ნავსადგურის მუშისა და მალარიით განაწამები, დაჭაობებული და შამბნარით დაფარულ ადგილებში მოყვანილი მოსავ-

## «ФАЗИСОБА»

1 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.
**Поти.**
Проводится с 1977 года.

Фазис—старинное название Поти. Этот древнейший город Колхиды поддерживал интенсивные связи с античным миром. Здесь, в академии Фазиса, получили высшее образование многие выдающиеся люди. Здесь родилась легенда о золотом руне, с Фазисом связаны предания о царе Айете и его дочери Медее.

История Поти нашего века контрастна: до революции — горькая жизнь измученного непосильным трудом и бесправием портового ра-

ლის სიმწრით დაღდასმული გლეხკაცის უბადრუკი ცხოვრება. დღევანდელი ფოთი კი არის ქალაქი დიდი მშენებლობებით, საქართველოს საზღვაო ჭიშკრით, გაბედული ექსპერიმენტებით.

ახალი დროის ყველა ნიშანი შეიძინა დღესასწაულმა ფაზისობამ, რომელიც მის წარსულსა და სახელოვან აწმყოს ეძღვნება.

ფოთელები ყოველწლიურად დღესასწაულზე იწვევენ ძვირფას სტუმრებს, შეჯიბრებაში ჩაბმული ქალაქების — ლიეპაიას, გეორგიევსკის, ასტრახანის მშრომელთა დელეგაციებს, აგრეთვე ყოფილ თანაქალაქელებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან, თბილისიდან.

бочего, изможденного малярией, отвоевывавшего урожай у болот крестьянина: сегодня Поти — город больших строек, морские ворота Грузии, город смелых экспериментов, город-труженик.

Все приметы нового времени вобрал в себя праздник «Фазисоба», посвященный прошлому и настоящему города Поти. Потийцы ежегодно приглашают на празднество дорогих гостей — делегации трудящихся из городов, с которыми соревнуются, — Лиепаи, Георгиевска, Астрахани, а также своих бывших сограждан из Москвы, Ленинграда, Киева, Баку, Тбилиси.

## სსრ კავშირის კონსტიტუციის დღე

7 ოქტომბერი, შაბათი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ 1977 წლის 7 ოქტომბერს მიიღო ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). ამავე დღეს დამტკიცებული კანონით ეს დღე — 7 ოქტომბერი გამოცხადდა საყოველთაო-სახალხო ზეიმის — სსრ კავშირის კონსტიტუციის დღედ.

## ДЕНЬ КОНСТИТУЦИИ СССР

7 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

7 октября 1977 года сессия Верховного Совета СССР приняла Конституцию (Основной закон нашей страны). По принятому в тот же день закону 7 октября объявлен всенародным праздником — Днем Конституции СССР.

## ქუჩების ზეიმი

### 7 ოქტომბერი, შაბათი.

**რუსთავი.**
ტარდება 1982 წლიდან.

ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქ რუსთავთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ქალაქების — ქუთაისის (საქართველოს სსრ), კიროვაკანის (სომხეთის, სსრ), სუმგაითის (აზერბაიჯანის სსრ) და ჩერკასკის (უკრაინის სსრ) სახელობის ქუჩების ზეიმი.

ძმობა-მეგობრობის ფასი კარგად იციან რუსთაველმა მეტალურგებმა. ქართველმა ახალგაზრდებმა მეტალურგის პროფესიები რუსი და უკრაინელი სპეციალისტების დახმარებით ისწავლეს.

მერე კი, მოძმე სუმგაითში მილების ქარხანა რომ აშენდა, რუსთაველებმა ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურეს, აზერბაიჯანელ მშრომელებს მათ ხალისით შეასწავლეს ახლადარჩეული პროფესიები, საჭირო ჩვევების გამომუშავებასა და განმტკიცებაში დაეხმარნენ.

ბევრი რამით არის დაკავშირებული ახალი რუსთავის მშენებლობასთან ქალაქი ქუთაისი. რესპუბლიკის ამ ორი ინდუსტრიული ცენტრის ურთიერთობანი მუდამ ახალი შინაარსით მდიდრდება. ქუთაისის საავტომობილო ქარხანასთან რუსთავის ლითონკონსტრუქ-

## ПРАЗДНИК УЛИЦ

### 7 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

**Рустави.**
**Проводится с 1982 года.**

Праздник улиц, носящих имена городов — Кутаиси (Грузинская ССР), Кировакана (Армянская ССР), Сумгаита (Азербайджанская ССР) и Черкасска (Украинская ССР), соревнующихся с городом грузинских металлургов и химиков — Рустави.

Руставские металлурги знают цену братству и дружбе. Грузинские юноши изучали профессию металлурга с помощью русских и украинских специалистов.

А потом, когда в Сумгаите был построен трубный завод, руставцы охотно делились своими знаниями и опытом, обучали азербайджанцев новым специальностям, помогали им выработать и закрепить нужные знания.

Многое роднит новый Рустави и Кутаиси. Взаимосвязи этих двух индустриальных центров республики постоянно обогащаются новым содержанием. А экономические контакты между Кутаисским автомобильным заводом и Руставским за-

ციების საწარმოს ეკონომიკური კონტაქტები კი 1976 წლიდან დამყარდა.

ამ ძმური ურთიერთობის აღსანიშნავად რუსთაველებმა თავიანთი ქალაქის მთავარ მაგისტრალებს სწორედ კიროვაკანის, სუმგაითის, ჩერკასკისა და ქუთაისის სახელები უწოდეს.

водом металлоконструкций устанавливались с 1976 года.

В ознаменование этих отношений главным магистралям своего города руставцы дали имена Кировакана, Сумгаита, Черкасска и Кутаиси.

## მამულიშვილობა

## «МАМУЛИШВИЛОБА»

8 ოქტომბერი, კვირა.

მარნეულის რ-ნი, სოფ. წერაქვი. ტარდება 1981 წლიდან.

8 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

Марнеульский район, с. Церакви. Проводится с 1981 года.

მამულიშვილობა უწოდეს მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვის მშრომელებმა სახალხო დღესასწაულს, რომელიც გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მწერალსა და დიდ მამულიშვილს მიხეილ ჯავახიშვილს (1881—1937) ეძღვნება.

წერაქვი მიხეილ ჯავახიშვილის მშობლიური სოფელია. მცხოვრებლებ-

Так труженики села Церакви Марнеульского района назвали народный праздник, посвященный видному грузинскому советскому писателю и достойному сыну отечества Михаилу Джавахишвили (1881—1937).

Церакви—родина Михаила Джавахишвили. Судьба этого села как две капли воды схожа с судьбой многих горных сел. Люди постепен-

მა ძნელბედობის ჟამს თანდათანობით დატოვეს იგი და ბარს მიაშურეს. მაგრამ ამჟამად მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად სოფელი აღორძინდა, გაიყვანეს გზა და წყალსადენი, გაიხსნა საშუალო სკოლა, აიგო მრავალი ახალი სახლი, სოფელი გაცოცხლდა.

აღორძინებული სოფლის დღესასწაულში აქტიურად მონაწილეობენ მრავალეროვანი მარნეულის რაიონის მშრომელები და სტუმრები.

но оставили его и переселились в долину. Но сейчас положение резко изменилось. В результате осуществленных партией и правительством мер село возродилось, в нем открылась средняя школа, проведены дороги, водопровод, построено много новых жилых домов...

В празднике возрожденного села ярко проявляется интернациональный дух советских людей. В нем активно участвуют труженики многонационального Марнеульского района, многочисленные гости.

## შრომის დღესასწაული

14 ოქტომბერი, შაბათი.

**ქობულეთი.**
ტარდება 1982 წლიდან.

ადამიანი ყოველგვარ სიკეთეს შრომას უმადლის. შრომის საგალობელიც უხსოვარი დროიდან მოდის. ვინ მოთვლის რამდენი სიმღერა, ხოტბა მიუძღვნიათ მისთვის.

ქობულეთის რაიონს საამაყო ბევრი აქვს. იგი ყოველწლიურად სახელმწიფოს აძლევს 50 ათას ტონამდე მაღალხარისხოვან ჩაის მწვანე ფოთოლს, 100 ათასამდე ტონა ციტრუსს, რაც რესპუბლიკაში მოკრეფილი ციტრუსების თითქმის მესამედს შეადგენს. რაიონში მზადდება დიდი რაოდენობით სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამასთან, სულ უფრო და უფრო იზრდება და მშვენდება ქალაქი, თითოეული სოფელი. ყოველწლიურად მწყობრში

## ПРАЗДНИК ТРУДА

14 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

**Кобулети.**
Проводится с 1982 года.

Все блага человека — плод его труда. Песни о труде берут начало с незапамятных времен. Кто сосчитает, сколько песен посвящено труду? И поются они тогда, когда работа спорится.

Труженикам Кобулетского района есть чем гордиться. Район ежегодно сдает государству около 50 тысяч тонн высококачественного зеленого чайного листа, до ста тысяч тонн цитрусов — почти треть того, что дает республика. Здесь производится большое количество и другой сельскохозяйственной продукции. При этом все больше растет и благоустраивается город, каждое село. Ежегодно вступают в строй новые очаги здравоохранения.

დგება ჯანმრთელობის ახალი კერები.

ქობულეთელები ზეიმს უძღვნიან ჩაის კრეფის დამთავრებასა და ციტრუსის კრეფის სეზონის დაწყებას. დღესასწაულზე მოწვეულია სტუმრები უკრაინიდან, ლიტვიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ზეიმში აქტიურ მონაწილეობას იღებს ქალაქკურორტის ათასობით დამსვენებელი. დღესასწაული თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის ნათელი დემონსტრირებაა.

## მამულიშვილობა

14 ოქტომბერი, შაბათი.

კასპის რ-ნი, სოფ. ხოვლე.
ტარდება 1981 წლიდან.

ეძღვნება დიდ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელს (1918), გამოჩენილ პატრიოტსა და ინტერნაციონალისტს ივანე ჯავახიშვილს (1876—1940), რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ნათელი ხსოვნა, მუდამ დარჩება ქართველ ხალხში.

## კოსტა ხეთაგუროვის დღე

14 ოქტომბერი, შაბათი.

ცხინვალის რ-ნი, სოფ. ხეთაგუროვი.
ტარდება 1980 წლიდან.

დღესასწაული ეძღვნება დიდ ოს პოეტს, ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწესა და რევოლუციონერ-

Праздник посвящается завершению сбора чая и началу сбора цитрусовых. В нем принимают участие многочисленные гости с Украины, из Литвы, разных уголков Грузии, тысячи отдыхающих в Кобулети. Праздник — наглядная демонстрация торжества свободного, созидательного труда.

## «МАМУЛИШВИЛОБА»

14 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

Каспский район, с. Ховле.
Проводится с 1981 года.

Посвящен великому грузинскому ученому и общественному деятелю, основателю Тбилисского государственного университета (1918), выдающемуся патриоту и интернационалисту Иванэ Джавахишвили (1876—1940), светлая память о жизни и деятельности которого будет вечно жить в сердце грузинского народа.

## ДЕНЬ КОСТА ХЕТАГУРОВА

14 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

Цхинвальский район, с. Хетагуров.
Проводится с 1980 года.

Праздник посвящен великому осетинскому поэту, основоположнику национальной литературы, публицисту, общественному деятелю и рево-

დემოკრატს, თავისუფლებისა და თანასწორობის, ხალხთა შორის მეგობრობის დიდ მომღერალს კოსტა ხეთაგუროვს (1859—1906).

люционеру-демократу, великому певцу свободы и дружбы народов Коста Хетагурову (1859—1906).

## კვალი ნათელი

15 ოქტომბერი, კვირა.

ქარელის რ-ნი, სოფ. ორთუბანი.
ტარდება 1983 წლიდან.

დღესასწაული ეძღვნება XV საუკუნის გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და მოაზროვნეს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს, რომელმაც კაცობრიობას დაუტოვა ტრაქტატები სამედიცინო საკითხებზე. ამ ტრაქტატებს თანამედროვეთათვის აქვს არა მარტო ისტორიულ-მეცნიერული, არამედ დიდი პრაქტიკული გამოყენებითი მნიშვნელობა.

დღესასწაული სიმბოლური მნიშვნელობისაა და წარმოადგენს მათი ხსოვნის დღეს, ვინც თავისი მოღვაწეობით ნათელი კვალი დატოვა ქართველი ხალხის ისტორიაში.

## «СВЕТЛЫЙ СЛЕД»

15 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Карельский район, с. **Ортубани.**
Проводится с 1983 года.

Праздник посвящен видному грузинскому ученому и мыслителю XV в. Зазе Панаскертели-Цицишвили, известному своими трактатами по вопросам медицины. Эти трактаты имеют не только историко-научное, но и большое практическое, прикладное значение.

Праздник в селе Ортубани — это дань памяти тех, кто оставил светлый след в истории района своими славными делами.

## ჰერეთობა

15 ოქტომბერი, კვირა.

**ლაგოდეხი.**
ტარდება 1983 წლიდან.

ლაგოდეხი ისტორიულ წყაროებში პირველად დამოწმებულია VIII ს-ში. XI ს-ში აქ იყო ჰერეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონასტერი.

## «ГЕРЕТОБА»

15 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Лагодехи.**
Проводится с 1983 года.

Лагодехи впервые упоминается в источниках VIII века. В XI веке здесь находился один из важнейших монастырей Восточной Грузии — Герети.

დღეს ლაგოდეხი მძლავრი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის რაიონია. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეთამბაქოეობა, მარცვლეული და ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება, სარძე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა, მებაღჩეობა, მეხილეობა, მევენახეობა და სხვ. რაიონში მთელი რიგი სამრეწველო ობიექტებია (თამბაქოს საფერმენტაციო, ეთერზეთების, ყველ-კარაქის ქარხნები და სხვ.). აქვეა თამბაქოსა და წეკოს საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თამბაქოს საცდელი სადგური, ცნობილია ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი (1912 წ.), რომელსაც 17.668 ჰექტარი უკავია.

სახალხო დღესასწაული, რომელსაც აქ ჰეროთობა უწოდეს და, რომელიც მშრომელთა წლიური დაძაბული მუშაობის შედეგების შეჯამებაცაა, ინტერნაციონალური მეგობრობის ზეიმია. საქართველოს სსრ ლაგოდეხის რაიონის მშრომელებთან ერთად დღესასწაულში მონაწილეობენ მშრომელთა დელეგაციები მეზობელი რაიონებიდან.

Сегодня Лагодехи — район развитого сельского хозяйства и промышленности. Ведущими отраслями сельского хозяйства являются табаководство, производство эфиромасличных культур, животноводство мясо-молочного направления, шелководство, овощеводство, садоводство и виноградарство. В районе имеется ряд промышленных объектов (табачно-ферментационные, эфиромасличные, сыроваренные заводы и др.). Здесь же находится опытная табачная станция Всесоюзного научно-исследовательского института табака и махорки, известный Лагодехский государственный заповедник (1912 г.), занимающий площадь 17.668 гектаров.

Народный праздник, названный «Геретоба» и посвященный подведению итогов напряженного труда за год, является праздником интернациональной дружбы. Вместе с тружениками Лагодехского района Грузинской ССР в нем участвуют делегации трудящихся соседних районов.

## ᲙᲝᲚᲮᲝᲑᲐ

15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ.

**ხელვაჩაური.**

განახლებული სახით
ტარდება 1979 წლიდან.

ანტიკური მითოლოგიის მიხედვით, არგონავტებმა კოლხეთიდან გაიტაცეს ოქროს საწმისი, წაიყვანეს მშვენიერი მედეა. ეს მითი უდევს საფუძვლად

## «КОЛХОБА»

15 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Хелвачаури.**

В обновленном виде проводится
с 1979 года.

Согласно античной мифологии, аргонавты похитили из Колхиды золотое руно и прекрасную Медею. Этот миф лежит в основе большого

დიდ თეატრალიზებულ სანახაობას, რომლითაც იწყება სახალხო დღესასწაული „კოლხობა“. აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში, ზღვის ნაპირას, ძველთაგანვე ეწყობოდა სახალხო ზეიმი „ქვამხაზობა“ (ქვამხაზი არის დიდი ქვა სარფთან, ზღვაში). სადაც ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმღერასა და ლექსის თქმაში, სიმარდესა და გამძლეობაში...

ახალი დღესასწაულის მოთავედ სარფელი ახალგაზრდები გამოვიდნენ. კოლხობა თავისი ფორმითა და შინაარსით, შემოქმედებითი სულისკვეთებით ჭეშმარიტი ზეიმია, სახალხო ტალანტების დღესასწაულია. იგი ხელს უწყობს გმირული ისტორიისა და კულტურის შესწავლას.

театрализованного представления, которым начинается в селе Сарпи Хелвачаурского района Аджарской АССР народный праздник «Колхоба». Здесь, на берегу моря, издревле проводился народный праздник «Квамхазоба» (квамхази — огромный камень в море у Сарпи), на котором молодежь состязалась в песнях, чтении стихов, ловкости и выносливости.

Инициатором возрождения этого праздника выступила сарпская молодежь. По своей форме и содержанию «Колхоба» является истинным торжеством народного духа, праздником народных талантов. «Колхоба» несет в себе познавательные элементы, что способствует изучению истории и культуры прошлого и сегодняшнего дня.

## შრომის დღესასწაული

15 ოქტომბერი, კვირა.

ქედა.
ტარდება 1980 წლიდან.

ქედა აჭარის მთიანი რაიონია. მისი სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგებია ჩაი, თამბაქო, მეცხოველეობა.

შემოდგომაზე, როცა ქედელები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს მორჩებიან, ტრადიციულ, განახლებულ შრომის დღესასწაულზე აჯამებენ შრომის შედეგებს. გამარჯვებულებს სამახსოვრო ჯილდოებს გადასცემენ, მათ პატივსაცემად იმართება თეატრალიზებული სანახაობანი.

## ПРАЗДНИК ТРУДА

15 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Кеда.**
**Проводится с 1980 года.**

Кеда — горный район Аджарии. Ведущими отраслями его народного хозяйства являются чай, табак, животноводство.

Осенью, когда завершены сельскохозяйственные работы, на традиционном празднике труда подводятся итоги трудовых успехов, вручаются памятные награды победителям, в их честь дается театрализованное представление.

## ᲛᲪᲮᲔᲗᲝᲑᲐ

### 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ.

**მცხეთა.**
**ტარდება 1979 წლიდან.**

საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ქალაქი-მუზეუმია, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია ორმოცზე მეტი ისტორიული ძეგლი, მათ შორის სვეტიცხოვლის არქიტექტურული ანსამბლი. ისტორია და თანამედროვეობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს განსაკუთრებით ჩანს დღესასწაულზე, სადაც იკრიბებიან რაიონის მშრომელები, აგრეთვე სტუმრები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან. ქალაქში ამაყად ფრიალებს ალისფერი ალმები. მიტინგზე საპატიო მოქალაქეებად ირჩევენ ღირსეულ ადამიანებს. ქუჩაში ტაატით მიდიან შემოდგომის ბარაქით დატვირთული ურმები. საზეიმო სვლაში მონაწილეობენ სამასკარადოდ ჩაცმული ბერიკები. არაგვის ჭალაში იმართება საშემოდგომო ბაზრობა; ახლადაგებულ თეატრონზე ტარდება დიდი თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობენ მხატვრული კოლექტივები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები; ეწყობა სპორტული შეჯიბრებები. კულტურისა და დასვენების პარკში ორგანიზებულია სხვადასხვა სანახაობანი.

## «МЦХЕТОБА»

### 15 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Мцхета.**
**Проводится с 1979 года.**

Древняя столица Грузии Мцхета — один из известных городов-музеев нашей страны. На территории Мцхета расположено свыше сорока исторических памятников, в том числе уникальный — архитектурное сооружение Светицховели. Здесь тесно соседствуют история и современность. Особенно это проявляется в ходе праздника, собирающего всех тружеников района, гостей из других городов и районов республики. Город украшается алыми стягами. На митинге наиболее достойные представители трудящихся избираются почетными гражданами Мцхета. Вереницами тянутся груженные осенними дарами арбы; весельчаки-берики импровизируют шествие ряженых; на берегу Арагви раскинута осенняя ярмарка; на уникальном театроне, возведенном методом народной стройки, проходит большое театрализованное представление, в котором участвуют художественные коллективы, представители литературы и искусства, проводятся спортивные состязания, в парке культуры и отдыха организуются различные зрелища.

## პოეზიის დღესასწაული

21 ოქტომბერი, შაბათი.

**თელავის რ-ნი, სოფ. წინანდალი,
ტარდება 1975 წლიდან.**

ეძღვნება ქართველ რომანტიკოს პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ჭავჭავაძეს (1786—1846).

## შრომის ზეიმი

21 ოქტომბერი, შაბათი.

**ლანჩხუთი.
ტარდება 1981 წლიდან.**

ლანჩხუთის რაიონში განვითარებულია მეციტრუსეობა, მარცვლეულის მეურნეობა, საკვები კულტურების წარმოება, მეცხოველეობა, მაგრამ სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი მაინც მეჩაიეობაა. მას 2500 ჰექტარამდე ფართობი უკავია. აქვეა ჩაის ნედლეულის პირველადი დამუშავების 5 ფაბრიკა. ამიტომაც სახალხო დღესასწაულს ძირითადად მეჩაიეთა შრომითი შედეგების შეჯამებას უძღვნიან.

ზეიმი იწყება ქალაქის ცენტრში, სადაც გვირგვინებით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს, შემდეგ მოზეიმენი მიდიან სოფელ არჩელში, გამოჩენილი ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში, აქედან კვლავ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ბრუნდებიან, სადაც იმართება შრომისადმი მიძღვნილი დიდი თეატრალიზებული სანახაობა.

## ПРАЗДНИК ПОЭЗИИ

21 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

**Телавский район, с. Цинандали.
Проводится с 1975 года.**

Посвящен грузинскому поэту-романтику и общественному деятелю Александру Чавчавадзе (1786—1846).

## ПРАЗДНИК ТРУДА

21 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

**Ланчхути.
Проводится с 1981 года.**

В Ланчхутском районе развиты цитрусоводство, зерновое хозяйство, производство кормовых культур, животноводство. Однако основной отраслью сельского хозяйства является все же чаеводство. Чайные плантации занимают около 2500 гектаров. Здесь же имеются 5 фабрик первичной переработки чайного листа. Поэтому народный праздник в основном посвящен трудовым успехам чаеводов.

Праздник начинается в центре города, где возлагаются венки к памятнику В. И. Ленину. Затем участники праздника направляются в село Арчели, в дом-музей грузинского писателя Эгнатэ Ниношвили. И в завершение праздника на центральной площади города проводится большое театрализованное представление, славящее труд.

## ფიროსმანობა

21 ოქტომბერი, შაბათი.

წითელწყაროს რ-ნი, სოფ.
**მირზაანი.**
ტარდება 1974 წლიდან.

ეძღვნება ფუნჯის ჯადოქარს, თვითნასწავლ მხატვარს ნიკო ფიროსმანაშვილს (1862—1918).

საზეიმო განწყობილებით ხვდება ნიკო ფიროსმანის მშობლიური სოფელი მირზაანი მრავალრიცხოვან სტუმრებს. მხატვრის ტალანტის თაყვანისმცემლებს. დღესასწაულისათვის მირზაანელები ღია ცის ქვეშ აწყობენ ეთნოგრაფიულ მუზეუმს. სტუმრები და მასპინძლები დიდი ინტერესით ათვალიერებენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენას. ხალხურ ნაკეთობათა ოსტატების ნამუშევრებს, სახლ-მუზეუმში — მხატვრის შედევრებთან ერთად, წითელწყაროელ ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრებს. შემდეგ იმართება სპორტული შეჯიბრებები, „ბერიკების" წარმოდგენა.

## «ПИРОСМАНОБА»

21 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

Цителцкаройский район,
**с. Мирзаани.**
Проводится с 1974 года.

День учрежден в честь великого художника-самоучки Нико Пиросманашвили (1862—1918). Торжественно встречает родное село Нико Пиросманашвили Мирзаани многочисленных гостей, поклонников его самобытного таланта. К празднику здесь начинает работать этнографический музей под открытым небом. Гости и хозяева осматривают сельскохозяйственную выставку, работы народных умельцев, а в доме-музее, наряду с шедеврами Пиросмани, знакомятся с работами молодых цителцкаройских художников. Затем устраиваются спортивные состязания, представления «бериков».

## კვალი ნათელი

21 ოქტომბერი, შაბათი.

**ჭიათურა.**
ტარდება 1983 წლიდან.

ას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს მანგანუმის მადნის მოპოვებას ჭიათურაში. დიდი რევოლუციური და მშვიდობიანი შრომის სახელოვანი ტრადიციების მქონე ქალაქის დროშაზე ბრწყინავს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები. თანამედრო-

## «СВЕТЛЫЙ СЛЕД»

21 ОКТЯБРЯ, СУББОТА.

**Чиатура.**
Проводится с 1983 года.

Добыча марганцевой руды в Чиатура насчитывает более чем столетнюю историю. На знамени города, имеющего богатые революционные и трудовые традиции, сияют ордена Ленина и Трудового Красного Знамени. Чиатура — город современно-

ვე ტიპის ქალაქია ჭიათურა. რთული რელიეფის გამო, იგი დასერილია საბაგირო გზებით (ასობით კილომეტრი სიგრძის 60 სატვირთო და სამგზავრო ბაგირგზა). ამ მხრივ ჭიათურა უნიკალური ქალაქია. მსოფლიოში განთქმული მანგანუმის ქალაქისა და მისი სოფლების წარმატებები მრავალი თაობის გარჯის შედეგია. მათ შორის დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ პირველი სტახანოველები, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირები, ორდენოსნები, შრომის დამკვრელები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი. დღესასწაულის მიზანია სასახელო შრომისა და ცხოვრების მაგალითებით აღზარდოს ახალგაზრდობა, მომავალ თაობას ჩაუნერგოს კეთილშობილური შრომის, ჩვენი დიადი სამშობლოს, მშობლიური მხარის, ქალაქის, სოფლის სიყვარული, მისთვის თავდადება.

го типа, как и села, входящие в его зону. Пространство города из-за сложного рельефа исчерчено канатными дорогами. Здесь работают 60 грузовых и пассажирских канатных дорог протяженностью в сотни километров. В этом отношении Чиатура — уникальный город. Успехи знаменитого на весь мир марганцевой рудой города и прилегающих к нему сел — результат труда многих поколений. И сегодня здесь успешно трудятся первые стахановцы, Герои Советского Союза и Герои Социалистического Труда, орденоносцы, ударники труда, участники Великой Отечественной войны.

Цель праздника — воспитать на примере знатных людей молодежь, выработать у нее любовь к добросовестному труду, к нашей великой Родине, родному краю, городу, селу.

## ილიაობა

21 ოქტომბერი, შაბათი.

**ყვარელი.**
ტარდება 1957 წლიდან.

ეძღვნება დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელს ილია ჭავჭავაძეს (1837—1907).

იმ სახელოვან წინაპართა შორის, რომლებითაც ამაყობს ქართველი ხალხი, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ილია ჭავჭავაძეს. მის შე-

## «ИЛИАОБА»

22 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Кварели.**
Проводится с 1957 года.

Посвящен великому грузинскому писателю и общественному деятелю, вдохновителю национально-освободительного движения в Грузии Илье Чавчавадзе (1837—1907).

Среди прославленных предков, которыми гордится грузинский народ, Илья Чавчавадзе занимает особое место. Основой его творчества и общественной деятельности являются

მოქმედებასა და საზოგადო მოღვაწეობას გვირგვინად ადგას ჭეშმარიტი ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, ნათელი მომავლისათვის შეუპოვარი ბრძოლის იდეა.

დიდი ილია, საქართველოს სულიერი მამა, როგორც მას სიცოცხლეშივე უწოდებდნენ, ხალხის კეთილდღეობის საფუძველს თავისუფალ შრომაში ხედავდა. მშობლიური ყვარლის რაიონის მშრომელები ილიას სახელობის ტრადიციულ დღეს შემოდგომაზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ძირითადად დამთავრების შემდეგ აღნიშნავენ.

истинный гуманизм, патриотизм и интернационализм, идея неустанной борьбы за светлое будущее.

Великий Илья, духовный отец Грузии, как его назвали при жизни, всегда видел источник благосостояния народа в свободном труде. Трудящиеся Кварельского района — родины И. Чавчавадзе — учредили традиционный день, который отмечается осенью, после окончания основных сельскохозяйственных работ.

### შრომის ზეიმი

22 ოქტომბერი, კვირა.

ადიგენის რ-ნი, სოფ. ზარზმა.
ტარდება 1980 წლიდან.

ადიგენის რაიონის ტერიტორია უმთავრესად მთაგორიანია. მისი სამხრეთი საზღვარი ემთხვევა სსრ კავშირისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვარს.

რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია სახორცე-სარძევე მეცხოველეობა, მეხილეობა, მეკარტოფილეობა, მარცვლეულის მეურნეობა. აქ მრავალი ისტორიული ძეგლია — ზარზმა, ჭული, იჯარეთი და სხვ.

სახალხო დღესასწაული, რომელიც ოქტომბერში იმართება, ტარდება ზარზმის ისტორიული ძეგლის შემოგარენში. უამრავი ხალხი იყრის აქ თავს. ძინძეს ხეობაში მესხური ბუხრები ბოლავენ, რაც დღესასწაულის დაწყებას გვანიშნებს...

### ПРАЗДНИК ТРУДА

22 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

Адигенский район, с. Зарзма.
Проводится с 1980 года.

Территория Адигенского района преимущественно высокогорная. Его южная граница совпадает с государственной границей между СССР и Турцией.

Основными отраслями сельского хозяйства района являются мясо-молочное животноводство, садоводство, картофелеводство, зерновое хозяйство. Здесь много исторических памятников (Зарзма, Чули, Иджарети и др.).

Народный праздник, организуемый в октябре, проводится в окрестностях Зарзмы. Здесь собирается множество народа. В ущелье Дзиндзе дымят месхетские очаги, возвещая о начале праздника.

ზეიმს თან ახლავს ტრადიციული, განახლებული და თანამედროვეობასთან შეხამებული თეატრალიზებული მასობრივი სანახაობა „ბერიკაობა“.

Праздник сопровождается традиционным, ныне во многом обновленным и связанным с современностью массовым театрализованным представлением «Берикаоба».

## შოთაობა

## «ШОТАОБА»

22 ოქტომბერი, კვირა.

22 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

თელავის რ-ნი, სოფ. იყალთო.
ტარდება 1962 წლიდან.

Телавский район, с. **Икалто.**
**Проводится с 1962 года.**

დღესასწაული ეძღვნება დიდ ქართველ პოეტსა და მოაზროვნეს, გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს შოთა რუსთაველს (XII ს.), რომელსაც, გადმოცემით, იყალთოს აკადემიაში უსწავლია. აქ ამჟამად მოქმედებს სახალხო აკადემია. ოქტომბერში იკრიბებიან რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, რათა მონაწილეობა მიიღონ სახალხო ზეიმში. შოთაობა პოპულარული დღესასწაულია რესპუბლიკაში.

Праздник в честь великого грузинского поэта и мыслителя — автора гениального «Витязя в тигровой шкуре» Шота Руставели (XII век), который, по преданию, учился в Икалтойской академии. В октябре здесь собираются видные люди республики, ученые, деятели культуры, чтобы принять участие в торжественном открытии учебного года в новой Икалтойской народной академии. «Шотаоба» очень популярен в республике.

## შრომისა და მეგობრობის დღესასწაული

## ПРАЗДНИК ТРУДА И ДРУЖБЫ

22 ოქტომბერი, კვირა.

22 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**წყალტუბო.**
ტარდება 1981 წლიდან.

**Цхалтубо.**
**Проводится с 1981 года.**

გულუხვია შემოდგომა წყალტუბოს სოფლებში, ბარაქითა და ხვავით ავსებს ბეღლებსა და მარნებს.

ოქტომბრის ბოლოს ამ ხვავისა და ბარაქის შემოქმედნი იკრიბებიან ქალაქის

Щедра осень в селах Цхалтубо, она наполняет изобилием закрома и марани.

В конце октября создатели этого изобилия собираются близ железно-

რკინიგზის სადგურის შემოგარენში, რომელსაც შრომისა და მეგობრობის დღესასწაული უწოდეს. ეწყობა თითოეული სოფლისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული კუთხე.

ზეიმში მონაწილეობენ არა მარტო ქალაქისა და მისი ზონის, არამედ მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, ისინი, ვინც წყალტუბოს სამკურნალო წყაროების სიკეთესთან „საზიარებლად" არიან ჩამოსულები. მათი აზრი ერთია: ზეიმი ქართველი კაცის გარჯისა და შემოქმედების ტრიუმფია.

## თბილისობა

29 ოქტომბერი, კვირა.

**თბილისი.**
ტარდება 1979 წლიდან.

ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაული.

უძველეს და მარად ახალგაზრდა თბილისში ცხოვრობს ასამდე ერისა და ეროვნების წარმომადგენელი. თითოეულ მათგანს დამახასიათებელი ტრადიციები, ყოფა-ცხოვრების ამსახველი წეს-ჩვეულებანი, განუმეორებელი ფოლკლორი აქვთ. მაგრამ მათ აერთიანებთ აზრითა და შინაარსით ძვირფასი და ახლობელი სიტყვა „თბილისელი".

არქიტექტორებსა და მშენებლებს თბილისობის მომზადების დროს განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ: ისინი არიან ხალხმრავალი ზეიმის თა-

дорожной станции города. Они приходят сюда на свой праздник, который назван праздником труда и дружбы. Большое впечатление на всех производят этнографические уголки, характерные для города, каждого села.

В празднике участвуют представители не только города и его зоны, но и различных уголков нашей великой страны, те, кто приехал сюда «вкусить» от благ цхалтубских целебных источников. Мнение их единодушно: праздник — триумф трудолюбия и творчества грузинского народа.

## «ТБИЛИСОБА»

29 ОКТЯБРЯ, ВОСКРЕСЕНЬЕ.

**Тбилиси.**
Проводится с 1979 года.

Праздник интернациональной дружбы.

В древнем и вечно юном Тбилиси живут представители около ста наций и народностей. Каждая из них имеет свои характерные особенности, традиции, обычаи, неповторимый фольклор. Но их быт объединяет слово дорогого и близкого всем смысла и содержания — «тбилисец».

Архитекторам и строителям в ходе подготовки «Тбилисоба» отведена особая роль: они своеобразные авторы, сценаристы многолюдного празднества. Поэтому каждый очередной «Тбилисоба» богат архитектурными «премьерами». И если на первом празднике 28 октября 1979 года тбилисцы и гости столицы с

